# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 13 ოქტომბერი 2000 №198 (1220) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 ვის შევჩივლოთ, ბახრამოვი მკვდარია



სხვა ასეთ გოლს ინგლისელებს არ უთვლის

8 დანილოვიჩი უცნაურად წავიდა

გაოგნებული ბოლონიის ბოლო ოვაცია




... სად იყო 1980 წლის შემოდგომაზე დიუსელდორფი? შორს. და ირლანდიური „უოტერფორდი“?

... საქართველოს ნაკრები ძი მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატის შესარჩევში ჩაერთო. ვინ არიან მეტოქეები? როგორ ჩატარდა გასული 16 პირველობა?

... 2002 წლის ჩემპიონატის კალენდარი — ცხრილები თქვენი ხელით შეავსეთ

... პლაკატი: ალესანდრო დელ პიერო და სიდნეი 2000-ის ყველა მედალოსანი

ჟურნალი სარბიელი

უკვე ჯიხურებშია

ფასი 2 ლარი

# ტოტი ოცდამეხუთე წამზე მოგვიტყდა

## ტრაპატონი ახლავე ფიქრობს იმ ორ საათზე, იტალიამ საქართველოში რომ უნდა ითამაშოს




LA GAZZETTA DELLA SPORT

საბედისწერო წამი და ფეხთაშეხლა: ფრანჩესკო ტოტი (№10) ალექსანდრე რეხვიაშვილის ფეხს წამოედო, წაიქცა და არბიტრმაც უმალ თერთმეტმეტრიანი დანიშნა

კონეროს სანაპიროს გაჩირაღდნებულ ტყე-პარკში თამაშის განმაახლებელი სასტვენის ექო ხეირიანად არ გამქრალიყო, შვედმა კარლ ერიკ ნილსენმა მეორე ტაიმის 25-ე წამზე ხელახლა რომ დასტვინა და ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა, საჯარიმოში ტოტი წაქცეულიყო.

ალექსანდრე რეხვიაშვილთან უმნიშვნელო შეხებისას მოჭრილი კუნძივით დაგორებული ფრანჩესკო ტოტი სწორედ ის ტოტი აღმოჩნდა, რომელიც 46-ე წუთზე მოუტყდათ ანკონაში ქართველებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური კენწეროსკენ მიმავალ გზაზე.

ტოტის წაქცევას ალესანდრო დელ პიეროს ზუსტი თერთმეტმეტრიანი მოჰყვა, რომელიც ცოტა ხანში ისევ განმეორდა, ამჯერად თითქოსდა თავად დელ პიეროს მოცელვისთვის.

აქამდეც და მერეც ქართველმა ფეხბურთელებმა იმდენი გამოუყენებელი მომენტი შექმნეს მასპინძელთა კართან, მატჩის მერე ქომაგებმა ტოლდოს მადლობა, ღმერთს დიდება შესწირეს და, ასეთი მოგება იტალიისთვის რა საკადრისიაო, „სკუადრა აძურას“ სურათები დაანაკუწეს.

უკადრისი თქვით და, იტალიამ ამ მოგებით მერვე ჯგუფის ლიდერობა არავის დაუთმო. ქართველთათვის კი ანკონას მატჩი ჭკუის სასწავლებლადაც გამოდგება: ავად თუ კარგად ხეზე ასვლა ჩვენც ვიცით, მთავარია, ის ტოტი თავადვე არ მოვჭრათ, რომელზეც ვსხედვართ.

**La Gazzetta dello Sport** — 12 ოქტომბერი

ანკონაში გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოვიგეთ.

ცისფერები შორს იყვნენ იმ თამაშისგან, რაც რუმინეთთან გვიჩვენეს, თუმცა დასაფასებელია სამი ქულა ისეთ სახიფათო მეტოქესთან, როგორიც საქართველოა. ტრაპი დაუბრუნდა ძველ დროს, როცა უჭირდა, თამაშს ყოველთვის ერთი თავდამსხმელით ამთავრებდა.

ტრაპატონი: საქართველოში კიდევ ორი საათი გვაქვს სათამაშო.

საქართველო ორმა პენალტმა დააჩოქა.

დელ პიეროს პენალტები ოქროსი იყო.

ჩვენებმა საზიზღარი ტაიმის შემდეგლა მოახერხეს მოგება. ეს არ იყო სანახაობა.

საქართველო ყველაზე ძნელი მეტოქეა. კიდევ კარგი, იტალიას ტოლდო ჰყავს.

ტრაპი: სხვებზე მეტად ტოტის გაუჭირდა.

ძოძუაშვილი: იტალიამ 12 ფეხბურთელით ითამაშა — თქვა ნილსენზე განაწყენებულმა მწვრთნელმა — იტალიაში ჩამოვედით და აქ კიდევ 12 ფეხბურთელის წინააღმდეგ თამაში გვაკლდა?

მატჩის შემდეგ ტრაპატონიმ ძოძუაშვილს რაღაც ჩასჩურჩულა. როცა ვკითხეთ, ქართველთა მწვრთნელს რა უთხარითო, ჩვენ გაგვიმართლაო, გვიპასუხა.

**Corriere dello Sport** — 12 ოქტომბერი

უშეცდომო დელ პიერო. გაჭირვებული გამარჯვება. დელ პიერომ ტრაპატონის თავისი დაუმტკიცა.

იტალიამ ვეღარ გაიმეორა მშვენიერი სანახაობა. ტოლდო საუკეთესო იყო.

საქართველო ტოლდოს გამო დამარცხდა.

გაცილებით რთული გამარჯვება გაცილებით რთულ მეტოქესთან.

**TUTTOSPORT** — 12 ოქტომბერი

დელ პიერო არ პატიობს. მისი პენალტები გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ტრაპატონი კმაყოფილია, ტოლდო — ბრწყინვალე

დელ პიეროს პენალტები და ტოლდოს აღებული ბურთები — ასე შეგვიძლია დავახასიათოთ ის რთული მატჩი, რომელმაც მნიშვნელოვანი სამი ქულა მოგვიტანა.

მალდინის და ინძაგის არყოფნაში ნაკრებმა მძიმე გამარჯვება მოიპოვა.

ჯგუფში პირველობისთვის ჩვენი მეტოქე საქართველოა და არა რუმინეთი.

ქართველებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს — ხშირად აყენებდნენ უხერხულ სიტუაციაში მასპინძლებს.

ქართულმა ობობამ აღლო აული ტრაპის ჩანაფიქრს და საქმე იქამდეც მივიდა, მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო ტოლდო აღმოჩნდა.

საქართველოს გუნდი რთულ პირობებში იზრდება და ძლიერდება.

ქართველების მონდომებამ და შემართებამ ხელი შეგვიშალა გაგვემეორებინა ის, რაც რუმინეთთან შევძელით.

ძალიან რთული აღმოჩნდა ქართველთა წინააღმდეგობის დაძლევა — ისინი მარდად უტევდნენ იტალიელებს, გაცილებით ძლიერნი იყვნენ, ვიდრე რუმინელები. რეხვიაშვილი და ნემსაძე შუაში, საუკეთესო ქეცბაია და მასზე არანაკლები ყაველაშვილი ჩინებულად თამაშობდნენ. მოძავალი მილანელი კალაძე და მეკარე გვარამაძე კი ყველაზე სუსტები იყვნენ ქართველთა გუნდში.

ქართველებმა ყოველგვარი კომპლექსის გარეშე ითამაშეს, რაც იტალიასთან შეხვედრებისას არ სჩვევიათ ხოლმე აღმოსავლეთ ევროპელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ და რით გვჯობია იტალია...

...ერთხელ უკვე გვინახავს მსგავსი რამ... შენი სათაყვანებელი გუნდი საფეხბურთო მსოფლიოს გრანდთაგანს სტუმრად ეთამაშება. იმ მატჩშია ჩაქსოვილი ყველაფერი, მონდომება, თავგანწირვა, უკეთესი მომავლის იმედიც. შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენს შენი გუნდი, რეალურ საგოლე მომენტებსაც არაერთხელ შექმნის მეტოქის კართან, მაგრამ მასპინძელთა ათლეტური მეკარე ყველა დარტყმას იგერიებს, გამწარებს არამარტო შენ და არამარტო ახლა. ბოლოს მაინც წაგებული რჩები. სამი ქულა ბობოლასია, მაგრამ თავს იმით ინუგეშებ, რომ შენმა გუნდმა ფეხბურთი ითამაშა, ითამაშა ისე, ბოლო წლებია, ამის ნატვრაში რომ ხარ. გუშინ იტალია — საქართველო იყო...

...ცალ მხარეს მასპინძელი გუნდი გამწკრივდა, საპირისპიროდ — სტუმარი. საქართველოს ჰიმნიც აჟღერდა და ტელევიზორში სულ ახლოს ჩანდნენ ქართველი ფეხბურთელები. მაშინვე გამოჩნდა, თამაშისთვის ვინ როგორ იყო მზად.

**დავით გვარამაძე** — ფერმკრთალი და შემცბარი იდგა. ეტყობოდა, ნერვიულობდა და ეს კიდეც გამოჩნდა თამაშის მსვლელობისას.

**ლევან სილაგაძე** — აშკარად მეკარეზე უკეთეს დღეში იყო...

**კახა კალაძე** — სრული უშიშრობა ემჩნეოდა, პასუხისმგებლობაც ეტყობოდა, მაგრამ ისიც ნათლად ეხატა სახეზე, რომ მორიგ რთულ მატჩში უნდა ჩაბმულიყო.

**ლევან კობიაშვილი** — ღირსეულად იდგა. ზედმეტი დაძაბულობა არ ეტყობოდა.

**ალექსანდრე რეხვიაშვილი** — გაყინული მზერა ჰქონდა, დაუძაბავი და უემოციო.

**ზურაბ ხიზანიშვილი** — ფსიქოლოგიური ზეწოლა ემჩნეოდა, მაგრამ ცხადი იყო, არაფრის ეშინოდა.

**თემურ ქეცბაია** — ჩვეულებრივად იცქირებოდა ფართოდ გახელილი თვალებით.

**მიხეილ ყაველაშვილი** — შეფიქრიანებული გამომეტყველება ჰქონდა. ტუჩებს იკვნეტდა.

**გიორგი ქინქლაძე** — დაძაბული ჩანდა, თვალს ერთ წერტილს არ აშორებდა.

**არჩილ არველაძე** — მობილიზებას და ძალების კონცენტრაციას ცდილობდა, თუმც თითქოს მაინც ღელავდა.

**გიორგი ნემსაძე** — ფერმკრთალი იყო. შინაგანად რაღაცას ებრძოდა.

იტალიელებმა თავიანთი ჰიმნი უფრო მწყობრად, ერთ მუშტად შეკრულებმა მოისმინეს. აჰყვნენ კიდეც. პირველი ორთაბრძოლაც მაშინ მოიგეს.

ნურავინ დაიჩემებს, მასპინძლები სტუმრებს ზემოდან დაჰყურებდნენო. იტალია საქართველოს ანგარიშს რომ უწევდა, ეს თამაშმაც ცხადყო. უბრალოდ, იტალია ნებისმიერ საფეხბურთო ელემენტში ქართველებზე მეტად დახელოვნებულია. დაძაბეთ გონება და ფრანჩესკო ტოტის ქმედებანი გაიხსენეთ. ალბათ, ბევრმა გაიფიქრა, „სკუადრა აძურას" მეათე ნომერი ბევრს უხეშობს და ყვითელ ბარათს იმსახურებსო. მაგრამ ტოტის წესები ერთხელაც არ დაურღვევია ისეთ მომენტში, მსაჯს ჯიბეზე უყოყმანოდ გაეკრა ხელი. მან იცოდა, როდის დაჯარიმებულიყო და ამით ქართველებს სწრაფი კონტრშეტევების წამოწყების საშუალებას უსპობდა. არაფერს ვამბობთ იმ თერთმეტმეტრიანზე, რომელიც მთლიანად მისი საფეხბურთო ოსტატობის ნაყოფი იყო.

სამწუხარო და ჩვენთვის საუბედურო ის გახლავთ, რომ ფრანჩესკო ტოტიმ (დელ პიერომაც) იცის, სად, როდის და ვისთან გაჭრის მსგავსი ხრიკები. ამით გვაჯობეს იტალიელებმა.

ქართველ მწვრთნელთა ჩანაფიქრი არ იყო ურიგო, მაგრამ არც ადვილი შესასრულებელი გახლდათ. ჩვენებს რაც შეიძლება მეტხანს უნდა დაეჭირათ ბურთი და მეტოქის კარისკენ მოკლე და საშუალო პასებით სწრაფად დაძრულიყვნენ.

ეროვნულმა ნაკრებმა დავალებას პირველ ტაიმში თავი გაართვა. იყო მომენტები, როცა ქართველებმა მართლაც დაიჭირეს ბურთი და იტალიელთა დაცვას და მეკარეს სამუშაო გაუჩინეს.

არასასურველი ის იყო, რომ ჩვენები, როცა ბურთი იტალიელებს ჰქონდათ, ძალიან უკან იხევდნენ და იტალიელებს ბურთის ამოსატანად მეტი თავისუფლება ეძლეოდათ.

და კიდევ, საქართველოს ნაკრები ისევ ადრინდელივით იოლად თმობს ბრძოლით მონაპოვარს. ხარვეზიც (არაზუსტი პასები) მრავლად იყო.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენებმა ტემპს ვერ მოუმატეს და გამძლეობა არ ეყოთ მაშინ, როცა ეს აუცილებელი იყო. ამის გათვალისწინებაც მართებდათ ჩვენს მწვრთნელებს. მაინცდამაინც ვერც ცვლილებებმა გაუმართლა ყიფიანსა და ძოძუაშვილს. გოჩა ჯამარაულს თხუთმეტიოდ წუთი დასჭირდა, რათა მოედანზე შექმნილ ვითარებაში გარკვეულიყო. გიორგი დემეტრაძემ თამაში ვერ გაამწვავა, ხოლო ზურაბ მენთეშაშვილს თავისი გამოსვლით არაფერი დაუშავებია, მაგრამ არც რამე შეუმატებია გუნდისთვის.

რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, გოლი ქართველებს პირველად რომ გაეტანათ? ანაც 1:0-ზე ყაველაშვილს გაეთანაბრებინა. ახლა ძნელია ამის მტკიცება, მაგრამ არ იქნებოდა გამორიცხული, იტალიიდან ქულა წამოგველო.



მატჩის მერე ჯოვანი ტრაპატონი იტყვის, სხვებზე მეტად ტოტის (№10) გაუჭირდაო, ამ საქმეში კი ჩვენებურთაგან უპირველესად ალექსანდრე რეხვიაშვილის ხელი ერია. ფოტოზეც ამათი ორთაბრძოლაა აღბეჭდილი

მასპინძლებმა დახარჯეს ზუსტად იმდენი ენერგია, რამდენიც თამაშის მოსაგებად დაჭირდათ. მართალია, გამარჯვება მთლად დამაჯერებელი ვერ გამოუვიდათ, მაგრამ მატჩის ბოლოს ტაბლოზე ეწერა: იტალია — საქართველო 2:0.

ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა ითამაშა ფეხბურთი, ისეთი, ბოლო წლებში რომ არ უჩვენებია. შექმნა რეალური საგოლე მომენტები და დამარცხების შემდეგ მოედანი შეურცხვენელმა დატოვა.

საქართველოს ეროვნულ გუნდს კიდევ ძალუძს, დახვეწოს თამაში, თუმც საამისოდ ეიფორიის თავიდან მოშორება საჭირო. ჯერაც უამრავი რამაა გასასწორებელი. ამის მერე კი კორეა-იაპონიაზე ფიქრიც შეიძლება სერიოზულად. ჯერჯერობით მხოლოდ იმედი გაგვიჩნდა, რომელიც რეალობასთან არც ძალიან შორსაა, მაგრამ არც ახლოს.

**მამუკა ძმანტალიანი**

# ვინერვიულოთ!

**საქართველოს ნაკრებმა 11 ოქტომბერს ანკონაში, იტალიასთან დასანანად წააგო. ალალად ვთქვათ, არც არავინ ელოდა ჩვენებურებისგან იტალიაში მოგებას, ძალიან ცოტას ფრის თუ ეიმედებოდა, ისიც ლიტვაში მოგებული მატჩის შემდეგ. და ახლა, როცა საქართველოს ნაკრებმა 0:2 წააგო, ვთქვათ, რა იყო ცუდი ანკონას მატჩისას, ისიც, რაც სასიკეთოდ გვენიშნა და გული მოგვაფხანინა. დავიწყოთ და, კარგი სიტყვა ბოლოსთვისო, უთქვამთ.**

### რა იყო ცუდი

ჩვენებურები მეტოქეს თავისუფლად ათამაშებდნენ, თუმც ამის გამო ენა არ მოგვიტრიალდება მათ საკრიტიკოდ. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი ფეხბურთელები იტალიელებს ძალიან ახლოს უშვებდნენ საკუთარ კართან. ფაქტობრივად, არ არსებობდა საყრდენი ნახევარმცველი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დღევანდელი ფეხბურთი. ამ პოზიციაზე გამწესებული ალექსანდრე რეხვიაშვილი ჩვენებურთაგან ერთ-ერთი საუკეთესო კი იყო, მაგრამ უფრო დაცვაზე ორიენტირებული. ამის გამო იყო, რომ მეტოქე ქართველთა საჯარიმოს თითქმის უპრობლემოდ უახლოვდებოდა.

მეკარე დავით გვარამაძე შეშინებული ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ მეკარეს პირველი დარტყმული ბურთის მოგერიება ფსიქოლოგიურად კარგად უნდა განაწყობდეს, „კოშკას" მაინც ეტყობოდა, რომ ბევრს ნერვიულობდა. არადა, საკვირველია, მერამდენედ დაუპირისპირდა ის სახელოვან ფეხბურთელებს. დელვეკიომ რომ დაურტყა და დათომ მოიგერია, ვიფიქრეთ, უფრო თავდაჯერებულად ითამაშებსო, მაგრამ... ისე რა, თუმც დავით გვარამაძის მიმართ საყვედური არ გვეთქმის.

ცუდი იყო ისიც, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა დელ პიეროს პირველი პენალტის შემდეგაც თითქმის ისევე გააგრძელეს, როგორც დაიწყეს, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ თამაშის გადაწყობას დრო უნდა. გოლი გაუშვა და ტაქტიკა იმ წუთსვე გადააწყო, ასე ათასში ერთხელ ხდება.

ქართველმა ფეხბურთელებმა ოთხი ისეთი მომენტი ვერ გამოიყენეს, ურეალურესი რომ ეთქმის. ორჯერ ნემსაძე, ქეცბაია, ყაველაშვილი, სილაგაძე ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ, ჩემი აზრით მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ფრანჩესკო ტოლდომ ივაჟკაცა. ლიტვაში გამოუყენებელი მომენტებიც გაიხსენეთ.

მსაჯობაზე რა ვთქვათ. თითქმის ყველა, ვინც გუშინწინდელი მატჩი ნახა, აღშფოთებულია შვედი არბიტრის სადავო გადაწყვეტილებებით. ორივე პენალტი, რომელიც იტალიელთა სასარგებლოდ დაინიშნა, საეჭვო იყო. თუმცა ბოლო წუთზე, როცა ქართველთაგან ერთ-ერთმა საუკეთესომ, ხიზანიშვილმა დი ლივიო წააქცია, მაშინ კი ნაღდი პენალტი იყო, ყოველ შემთხვევაში, ტელევიზორში ასე ჩანდა.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრებისგან საშუალო ევროპულ დონეზე დაბალი გუნდისთვის მთლად მისაბაძი მაგალითი ვერ უნდა იყოს, როცა ფეხბურთელები წამდაუწუმ, მიზეზით თუ უმიზეზოდ მინდორზე იშხლართებიან... ყველაზე ცუდი კი ისაა, მსაჯი რომ ამას იმ წამსვე ვერ ამჩნევს. ისე, კლასიც ეგაა, მსაჯს შენთვის სასარგებლო ჯარიმა გამოსტყუო.

ქართველი მწვრთნელები მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადებულან. ეს ჩვენთვის გასაკვირი არ არის, მაგრამ იტალიელებისთვის... თუმც იქ ნამყოფები ამბობენ, იტალიელებს მეტოქე ნაკლებად აინტერესებდათ და შესაძლოა, პრესკონფერენციაზე დასწრება ძოძუაშვილისა და ყიფიანისთვის არც უთხოვიათო.

დაბოლოს — შედეგი. წაგება თავისთავად და ყოველთვის ცუდია.



ორი პენალტის გამტანი ალესანდრო დელ პიერო (№11) და ლევან კობიაშვილი

LA GAZZETTA DELLO SPORT

### რა იყო კარგი

პირველყოვლისა დაცვა. ხიზანიშვილი, სილაგაძე, კალაძე, კობიაშვილი ერთმანეთს გონივრულად აზღვევდნენ და თუ ერთ-ორ შეცდომას არ ჩავთვლით, რომელიც ჩვენთვის გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს, მათ ნორმალურად ითამაშეს.

ჩვენებს დაცვიდან ბურთიც გააზრებულად აჰქონდათ მოედნის ცენტრამდე. არ იყო ის, რასაც შეჩვეულები ვართ — მეტოქის შეტევის ჩაშლა და ბურთის უმისამართოდ წინ მოგერიება. მთავარი კი ისაა, რომ დაცვიდან ბურთის გონივრული ატანის პრეცედენტი უკვე არის. ახლა ეს უნდა დაიხვეწოს.

საქართველოს ნაკრების ტაქტიკას მაინცდამაინც ვერ დაიწუნებდა კაცი, ოღონდ პირველ ტაიმში — მაქსიმალური ყურადღება და მეტოქის შეცდომაზე გამოჭერა. რამდენჯერმე, ფაქტია, ჩვენები მიზანთანაც ახლოს იყვნენ.

„სკონტოში" მოთამაშე ალექსანდრე რეხვიაშვილმა, რომელიც, სხვათა შორის ლატვიაში დარჩენას აპირებს და ცოლიც იქაური ჰყავს, ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელ ფრანჩესკო ტოტის ფეხი არ გაანძრევინა.

ქართველებს სხვაგვარად რომ ეთამაშათ, ეგებ ლიტვაში დიდი ანგარიშით მოგებაც უკან დაგვრჩენოდა.

იტალიელებთან, რომლებსაც ერთ-ერთი უძლიერესი დაცვა ჰყავთ და კატენაჩოს ფუძემდებლები არიან, ქართველებმა მათსავე მოედანზე იმდენი მომენტი შექმნეს, რამდენიც ბარე ერთ ორ სახელოვან გუნდს უნატრია. სხვა საქმეა მათი გამოყენება და ამაზე ზემოთაც ვთქვით — რომ არა ტოლდო, ეგებ... ისე, თითქოს ისტორია განმეორდაო — ოთხი წლის წინ პერუჯაშიც ქეცბაიისა და ნემსაძის დარტყმულები სასწაულებრივად ტოლდომ მოიგერია.

იტალიელთა თავკაცი, მრავლისმნახველი და ამქვეყნად თითქმის ყველა საფეხბურთო ჯილდოს მომგები ჯოვანი ტრაპატონი ძალიან ნერვიულობდა. რა გასაკვირია, ძნელი თამაშისას მწვრთნელი ნერვიულობდეს, მაგრამ გუშინწინ ტრაპატონის აშკარად ეტყობოდა მომავალზე კი არა, მხოლოდ იმდღევანდელზე ფიქრობდა.

თვალშისაცემი იყო ქართველთა ბრძოლისუნარიანობა და „პადკატების" რაოდენობა. არა გვგონია, ვინმემ თქვას, 11 ოქტომბერს ქართველები ფეხებს უფრთხილდებოდნენო. მათ თავი არ დაუზოგავთ.

გაიხსენეთ ოთხი წლის წინანდელი საქართველო — ინგლისი. მაშინაც 0:2 წააგეს ჩვენებურებმა და ახლაც. ხედავთ სხვაობას? ვფიქრობთ, განსხვავება აშკარაა. მაშინ ქართველებს დასცინოდნენ, ახლა კი...

ევროპამ და ფეხბურთის მოყვარულმა სპეციალისტებმა საქართველოსკენ სხვა თვალით გამოიხედეს. ყოველ შემთხვევაში, ამას ამბობენ. მაგალითად, ჩეზარე მალდინიმ, იტალიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, რომელმაც ნაკრები თბილისში სათამაშოდ ჩამოიყვანა, გუშინწინდელი მატჩის შესვენებისას აღნიშნა, საქართველოსა და რუმინეთის შედარება არ შეიძლება, ქართველები გაცილებით ძლიერნი ჩანანო. სხვა საქმეა, რამდენად რეალურია ეს.

ზოგადად თამაშზეც. მართლაც კარგი იყო: ქართველთა ნაკრებმა ფეხბურთი ითამაშა.

დაბოლოს: გუშინწინდელი მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების თამაშზე ნერვიულობაც ღირს. კარგი იქნება, თუ ეს ნანატრი გრძნობა-ვნებანი არ გაუფუჭსურდება.

ვინერვიულოთ? ლიტვაში და იტალიაში თამაშების შემხედვარემ, ვფიქრობთ, უნდა ვთქვათ — ვინერვიულოთ.

**კობა ინასარიძე**

# ეროვნული გუნდის
## ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

27.05.90 ამ საქართველო 2:2 ლიტვა
გურული, კაჭარავა
02.07.91 ამ მოლდოვა 2:4 საქართველო
ქეცბაია, დარასელია,
მ. ჯიშკარიანი, ყაველაშვილი
02.09.92 ამ ლიტვა 1:0 საქართველო
17.09.92 ამ საქართველო 6:3 აზერბაიჯანი
ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია,
შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
22.12.92 ამ კვიპროსი 1:0 საქართველო
25.05.93 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
08.02.94 მტ სლოვენია 1:0 საქართველო
10.02.94 მტ მალტა 0:1 საქართველო
ქეცბაია
12.02.94 მტ ტუნისი 0:2 საქართველო
ყაველაშვილი, კუდინოვი
23.02.94 ამ ისრაელი 2:0 საქართველო
11.06.94 ამ ნიგერია 5:1 საქართველო
რ. არველაძე
26.06.94 ამ ლატვია 1:3 საქართველო
დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული
19.07.94 ამ საქართველო 1:1 მალტა
შ. არველაძე
07.09.94 ეჩშ საქართველო 0:1 მოლდოვა
12.10.94 ეჩშ ბულგარეთი 2:0 საქართველო
16.11.94 ეჩშ საქართველო 5:0 უელსი
ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი
14.12.94 ეჩშ ალბანეთი 0:1 საქართველო
შ. არველაძე
29.03.95 ეჩშ საქართველო 0:2 გერმანია
26.04.95 ეჩშ საქართველო 2:0 ალბანეთი
შ. არველაძე, ქეცბაია
07.06.95 ეჩშ უელსი 0:1 საქართველო
ქინქლაძე
06.09.95 ეჩშ გერმანია 4:1 საქართველო
ქეცბაია
11.10.95 ეჩშ საქართველო 2:1 ბულგარეთი
შ. არველაძე, ქინქლაძე
15.11.95 ეჩშ მოლდოვა 3:2 საქართველო
დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.)
27.03.96 ამ კვიპროსი 0:2 საქართველო
ქეცბაია, ჯამარაული
24.04.96 ამ რუმინეთი 5:0 საქართველო
08.05.96 ამ საბერძნეთი 2:1 საქართველო
გოგრიჭიანი
01.09.96 ამ ნორვეგია 1:0 საქართველო
09.10.96 მჩშ იტალია 1:0 საქართველო
09.11.96 მჩშ საქართველო 0:2 ინგლისი
05.12.96 ამ ლიბანი 4:2 საქართველო
იაშვილი, კიკნაძე
08.12.96 ამ ლიბანი 3:2 საქართველო
გახოკიძე, ცქიტიშვილი
30.03.97 ამ საქართველო 7:0 სომხეთი
შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2,
ქინქლაძე, ყაველაშვილი
30.04.97 მჩშ ინგლისი 2:0 საქართველო
07.06.97 მჩშ საქართველო 2:0 მოლდოვა
შ. არველაძე, ქინქლაძე
14.06.97 მჩშ პოლონეთი 4:1 საქართველო
შ. არველაძე
10.09.97 მჩშ საქართველო 0:0 იტალია
24.09.97 მჩშ მოლდოვა 0:1 საქართველო
ქეცბაია
11.10.97 მჩშ საქართველო 3:0 პოლონეთი
ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია
06.02.98 მტ საქართველო 2:1 ლატვია
ჯამარაული 2
08.02.98 მტ საქართველო 3:0 ალბანეთი
ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი
10.02.98 მტ საქართველო 3:1 მალტა
ყაველაშვილი 2, ჯამარაული
02.05.98 ამ ტუნისი 1:1 საქართველო
ქინქლაძე
30.05.98 ამ საქართველო 1:1 რუსეთი
ზ. ჯანაშია
12.08.98 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
19.08.98 ამ უკრაინა 4:0 საქართველო
05.09.98 ეჩშ საქართველო 1:0 ალბანეთი
ა. არველაძე
10.10.98 ეჩშ ლატვია 1:0 საქართველო
14.10.98 ეჩშ საბერძნეთი 3:0 საქართველო
18.11.98 ამ საქართველო 3:1 ესტონეთი
აშვეთია 2, დ. ჯანაშია
20.03.99 ამ საქართველო 0:1 უკრაინა
27.03.99 ეჩშ საქართველო 1:1 სლოვენია
ზ. ჯანაშია
28.04.99 ეჩშ საქართველო 1:4 ნორვეგია
ზ. ჯანაშია
30.05.99 ეჩშ ნორვეგია 1:0 საქართველო
05.06.99 ეჩშ საქართველო 1:2 საბერძნეთი
ქეცბაია
04.09.99 ეჩშ სლოვენია 2:1 საქართველო
შ. არველაძე
08.09.99 ეჩშ საქართველო 2:2 ლატვია
შ. არველაძე, ყაველაშვილი
09.10.99 ეჩშ ალბანეთი 2:1 საქართველო
შ. არველაძე
02.02.00 კტ სლოვაკეთი 0:2 საქართველო
ქეცბაია, ყაველაშვილი
04.02.00 კტ რუმინეთი 1:1 (4:2პ) საქართველო
ქეცბაია
06.02.00 კტ საქართველო 2:1 სომხეთი
ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი
28.03.00 ამ ისრაელი 1:1 საქართველო
ქინქლაძე
26.04.00 ამ სომხეთი 0:0 საქართველო
04.06.00 ამ აზერბაიჯანი 0:0 საქართველო
11.06.00 ამ ესტონეთი 1:0 საქართველო
16.08.00 ამ ირანი 2:1 საქართველო
ყაველაშვილი
07.10.00 მჩშ ლიტვა 0:4 საქართველო
ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე
11.10.00 მჩშ იტალია 2:0 საქართველო

**სულ: 65 თამაში, 22 მოგება, 11 ფრე, 32 წაგება, ბურთები 82:92**

ამ - ამხანაგური მატჩი, ეჩშ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ - მალტის, კვიპროსის ტურნირი

| სახელი გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 96-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 98-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 2000-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 2002-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | სულ: თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ნემსაძე | ნ | 10.05.72 | დანდი (შოტლანდია) | 28 | 0 | 4 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 51 | 0 | 12 | 0 |
| გოჩა ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 22 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 45 | 5 | 3 | 0 |
| თემურ ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ვულვერჰემპტონი (ინგლისი) | 20 | 5 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 43 | 15 | 6 | 0 |
| გიორგი ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 16 | 2 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 38 | 7 | 2 | 1 |
| მიხეილ ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 19 | 6 | 4 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 37 | 9 | 7 | 1 |
| შოთა არველაძე | თ | 22.02.73 | აიაქსი (ჰოლანდია) | 15 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 36 | 14 | 0 | 0 |
| მურთაზ შელია | მ | 25.03.69 | დინამო | 13 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 29 | 0 | 7 | 0 |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | ლოკომოტივი | 12 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 27 | 1 | 2 | 0 |
| ლევან კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 12 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 28 | 0 | 3 | 0 |
| არჩილ არველაძე | თ | 22.02.73 | კიოლნი (გერმანია) | 10 | 2 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 26 | 5 | 2 | 0 |
| კახა ცხადაძე | მ | 07.09.68 | დინამო | 13 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 1 | 5 | 0 |
| გიორგი ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 10 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 4 | 1 |
| კახა კალაძე | მ | 22.02.78 | დინამო (კიევი, უკრაინა) | 9 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 | 0 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 23 | 0 | 4 | 1 |
| დიმიტრი კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 12 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 4 | 0 |
| გელა შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი (ბელგია) | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 3 | 0 |
| ლევან ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 9 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 16 | 1 | 2 | 0 |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21.03.69 | ტორპედო | 8 | -8 | 0 | 0 | 3 | -5 | 0 | 0 | 5 | -9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 16 | -22 | 0 | 0 |
| ლევან სილაგაძე | მ | 04.08.76 | ლოკომოტივი | 12 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 2 | 0 |
| დავით გვარამაძე | მკ | 08.11.75 | კრილია სოვეტოვი (რუსეთი) | 7 | -5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | -8 | 0 | 0 | 2 | -2 | 0 | 0 | 15 | -15 | 0 | 0 |
| აკაკი დევაძე | მკ | 28.11.71 | მერანი | 8 | -11 | 0 | 0 | 7 | -8 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | -19 | 1 | 0 |
| გიორგი დემეტრაძე | თ | 26.09.76 | დინამო (კიევი, უკრაინა) | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 14 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი გახოკიძე | ნ | 09.11.77 | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 1 | 2 | 0 |
| ნუგზარ ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | თამაში მიატოვა | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 | 0 |
| რევაზ არველაძე | ნ | 15.09.69 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 1 | 1 | 0 |
| გივი დიდავა | მ | 26.03.76 | მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 0 | 2 | 0 |
| გიორგი კიკნაძე | ნ | 26.04.76 | უგუნდო | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 1 | 1 | 0 |
| ზაზა რევიშვილი | მ | 23.09.68 | უგუნდო | 7 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 0 | 1 | 0 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ტორპედო | 6 | -9 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | -13 | 0 | 0 |
| დავით ჯანაშია | თ | 07.08.72 | ტორპედო | 8 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 |
| გელა ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | თამაში მიატოვა | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ჟემჩუჟინა (რუსეთი) | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი დარასელია | ნ | 17.09.68 | ჰაპოელი (ქვარ სავა, ისრაელი) | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| დავით ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| გია ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| თენგიზ სიჭინავა | ნ | 15.05.72 | დინამო | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 |
| მამუკა წერეთელი | მ | 17.01.79 | ალანია (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 |
| ზაზა ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 4 | 2 | 1 |
| ალექსანდრე იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 2 | 1 | 0 |
| ბესიკ ბერაძე | მ | 20.02.68 | სამგურალი | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ლუდუშაური | ნ | 18.02.73 | უგუნდო | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | მ | 06.10.81 | ლოკომოტივი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| რატი ალექსიძე | თ | 08.09.78 | ჩელსი (ინგლისი) | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 |
| სოსო გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | დინამო | 6 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | -4 | 0 | 0 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | ნ | 30.01.80 | სკონტო (ლატვია) | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 |
| მიხეილ აშვეთია | თ | 10.11.77 | ალანია (რუსეთი) | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 |
| კახა სიდამონიძე | მ | 17.04.71 | უგუნდო | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ნ | 06.08.74 | სკონტო (ლატვია) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| გია გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| ვალტერ გუჩუა | მ | 06.07.75 | ტორპედო | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| დავით ცომაია | ნ | 04.09.67 | უგუნდო | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ ფოფხაძე | მ | 02.06.72 | ნ.ნოვგოროდი (რუსეთი) | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 13.03.79 | დინამო | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი კილასონია | ნ | 09.09.68 | თურანი (აზერბაიჯანი) | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ ფოცხვერია | თ | 12.08.75 | დნიპრო (უკრაინა) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| კახა კაჭარავა | თ | 19.09.66 | თამაში მიატოვა | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | ტორპედო ზილი (რუსეთი) | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვასილ სეფაშვილი | თ | 17.02.69 | ჟენისი (ასტანა, ყაზახეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| თემურ ტუღუში | თ | 24.02.72 | თამაში მიატოვა | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად ჯელაძე | მ | 16.12.73 | კრისტალი (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მელორ ბიგვავა | თ | 17.01.63 | აისბახტალი (გერმანია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჭიჭვეიშვილი | ნ | 23.01.75 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გია ჩხაიძე | მ | 23.02.70 | ტორპედო | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07.08.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| დავით ჩალაძე | თ | 22.01.76 | სკონტო (ლატვია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| სევასტი თოდუა | მ | 13.05.76 | ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ ძოძუაშვილი | თ | 04.11.80 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კახა კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვაჟა თარხნიშვილი | მ | 26.08.71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| შალვა ხუჯაძე | მ | 05.10.75 | დინამო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ იონანიძე | თ | 02.12.71 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი ახვლედიანი | მ | 19.10.70 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| გივი კვარაცხელია | მ | 11.05.79 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | უგუნდო | 2 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | -3 | 0 | 0 |
| მალხაზ არზიანი | მ | 15.08.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასლან ბალაძე | მკ | 18.04.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იური გაბისკირია | ნ | 01.09.68 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი გემაზაშვილი | მ | 06.07.77 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როსტომ თორღაშვილი | ნ | 15.12.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გელა კეტაშვილი | მ | 27.09.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ კორღალიძე | თ | 02.09.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თემურ კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | დინამო (ბარნაული, რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | კრივბასი (უკრაინა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ კაციტაძე | მ | 25.02.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი მეგრელაძე | თ | 21.07.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02.01.77 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან მუჯირი | ნ | 20.02.74 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით მუჯირი | ნ | 02.01.78 | შერიფი (მოლდოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ნადირაძე | მ | 11.02.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი რევაზიშვილი | ნ | 31.03.77 | შერიფი (მოლდოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ტყებუჩავა | მ | 24.11.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა ფანცულაია | თ | 09.02.67 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გია ფირცხალავა | მ | 03.01.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სოსო ჭედია | ნ | 09.10.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ჩიქოვანი | მ | 12.10.62 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კახა ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ჩხეიძე | მკ | 29.04.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მ | 26.06.81 | სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მიქაძე | მ | 13.09.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი დავითნიძე | მ | 18.07.78 | ურალანი, რუსეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ლომაია | მკ | 08.08.79 | ლოკომოტივი | 1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 | 0 |
| გრიგოლ ჭანტურია | მკ | 25.09.73 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 | 0 |
| დავით ასლანაძე | მკ | 16.11.76 | ლოკომოტივი | 1 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -4 | 0 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა 11 ოქტომბერი

## I ჯგუფი

### ჯუჯებს ნუ ეხუმრებით

**რუსეთი 3:0 ლუქსემბურგი**

1:0 ბუზნიკინი (19), 2:0 ხოხლოვი (67), 3:0 ტიტოვი (90)

რუსეთი: ნიგმატულინი, ხლესტოვი, ხოხლოვი, სმერტინი, თეთრაძე, ბუზნიკინი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი

ლუქსემბურგი: ჟილე ფანკი (ფერონი 86), შულცი, ვანეკი, შტრასერი, საიბენე, პეტერსი, ჰოლცი, შნაიდერი (ჰოსინგი 77), კარდონი, ჰუსი (ზარიცკი 61)

მსაჯი: ჯონ ფერი (ჩრდ. ირლანდია)

12 000 მაყურებელი

„**სპორტული** მიღწევები ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან არანაირ კავშირშია. მაშინ ჩინეთი ყველაფერში უნდა იმარჯვებდეს. ამ დროს ყველაზე გამოჩენილი სამთო მოთხილამურეები პატარა ლიხტენშტაინიდან არიან. ასეა, ზოგი ქვეყანა ჭადრაკს ანვითარებს, ზოგიც მთამსვლელობას. მეცინება, როცა ამბობენ, ჯუჯა სახელმწიფოს ნაკრებს მოუგეთო. ლუქსემბურგთან არაერთხელ გვითამაშია და გარწმუნებთ, ბოლო დროს ძალიან მოუმატეს. პირველი ტაიმი ხომ თანაბარი იყო. მეორეში ჩემი ფეხბურთელები გამოფხიზლდნენ და თავისი უპირატესობა დაამტკიცეს" — ასეთი იყო რუსთა მთავარი მწვრთნელის, ოლეგ რომანცევის მატჩისშემდგომი კომენტარი.

რუსებს თავიდან მართლაც გაუჭირდათ. სწრაფი გოლი არ გავიდა და მასპინძლებმა ცოტა ნერვიულობაც დაიწყეს. ამ დროს მხსნელად მაქსიმ ბუზნიკინი მოევლინათ, რომელმაც ალექსანდრ მოსტოვოის საჯარიმოდან ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და ანგარიში გახსნა.

ტაიმის მიწურულს სტუმრებს გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ ლუკ ჰოლცის დარტყმული უზუსტო გამოდგა.

მეორე ნახევარში ლუქსემბურგელებს დაღლა დაეტყოთ და მასპინძლებსაც მეტი თავისუფლება მიეცათ. ჯერ დმიტრი ხოხლოვმა გააორა, სულ ბოლოს კი ეგორ ტიტოვმა მოხდენილი თავურით ციფრთა საბოლოო შესატყვისობა დაადგინა — 3:0.

„შაბათს სლოვენიასთან ურთულესი მატჩი გვქონდა. მერე რუსეთში გადავფრინდით და შედეგად, ბიჭებს ძალები მხოლოდ პირველი ტაიმისთვის ეყოთ. მერე, დაახლოებით ერთ საათში ძალიან გაუჭირდათ. ყველაფერს სათადარიგოთა სკამიდან ვუცქერდი და კინაღამ ვიტირე" — ესეც ლუქსემბურგელთა დამრიგებლის პოლ ფილიპის აღსარება.

რუსებმა საშემოდგომო ეტაპი უდანაკარგოდ ჩაამთავრეს — ორიდან ორივე მატჩი მოიგეს და ჯგუფს ერთპიროვნულად ლიდერობენ.

**სლოვენია 2:2 შვეიცარია**

0:1 თურქილმაზი (20), 1:1 შილიაკი (44), 1:2 თურქილმაზი (66), 2:2 აჩიმოვიჩი (78)

სლოვენია: დაბანოვიჩი, მილინოვიჩი, ვუგდალიჩი, კნავსი, ნოვაკი, ჩეჰი, პავლინი (აჩიმოვიჩი 69), კარიჩი, უდოვიჩი (ტავკარი 46), ზაჰოვიჩი, შილიაკი (ოსტერცი 59)

შვეიცარია: ცუბერბიულერი, ზელვეგერი, მაცარელი, ცვისიგი, ფურნიე (შანინი 64; მიულერი 72), ვიკი (კანტალუპი 46), კომიზეტი, ვოგელი, შაპუიზა, სფორცა, თურქილმაზი

გაძევება: კარიჩი (38)

მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)

7 000 მაყურებელი

**შვეიცარიელთა** მწვრთნელ ენცო ტროსეროს თითქოს გულმა უგრძნოო, ვეტერანები რომ ნაკრებში დააბრუნა — კუბილაი თურქილმაზმა ორ მატჩში ხუთი ბურთი გაიტანა: წინა ტურში ლუქსემბურგელებს ჰეთ-თრიქი შეუსრულა და ახლაც, ლიუბლიანაში, თავი ორჯერ გამოიჩინა.

ანგარიში ერთობ კურიოზულად გაიხსნა. სლოვენიელთა კარიდან დაახლოებით 35 მეტრში საჯარიმო დაინიშნა. სფორცამ თურქილმაზს დაუგორა და ამანაც ცაციათი არცთუ ძლიერად დაარტყა. ბურთი კარგა ხანს მიფრინავდა, მაგრამ ბოლოს მეკარე მლადენ დაბანოვიჩს მაინც ფეხებსშუა გაუძვრა და კარში აღმოჩნდა... დაბანოვიჩმა მერეც არაერთი ბავშვური შეცდომა დაუშვა და მასპინძლებმა რომ არ წააგეს, ბედს უნდა უმადლოდნენ.

38-ე წუთზე ამირ კარიჩი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და ტყუილად წაიქცა. მსაჯმა ეშმაკობა გამოუცნო და გააფრთხილა — ვინაიდან კარიჩს ერთი ყვითელი უკვე ჰქონდა, მინდვრის ნაადრევად დატოვება მოუხდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, კაცნაკლულობამ სლოვენიელებზე კარგად იმოქმედა. ტაიმის ბოლო წუთებში ჯერ ზლატკო ზაჰოვიჩის ჩაწოდებულს ერმინ შილიაკმა თავი დაჰკრა და გაათანაბრა, რამდენიმე წამში კი ალეშ ჩეჰმა შვეიცარიელთა კარის ძელი შეაზანზარა.

მერე ისევ დაბანოვიჩის შეცდომა — შტეფან შაპუიზას დარტყმული უხეიროდ უკუაგდო და იქვე მდგომმა თურქილმაზმა სტუმრები მეორედ დააწინაურა.



სლოვენია — შვეიცარია 2:2. მასპინძელი მირან პავლინი (№11) შვეიცარიული ბარიერის გადალახვას ცდილობს

REUTERS ფოტო

სლოვენიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გატყდნენ, ბრძოლა არ შეწყვიტეს და ქულაც გადაარჩინეს. მალე აჩიმოვიჩის ძლიერ დარტყმას მეკარე ცუბერბიულერმა ვერაფერი მოუხერხა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სლოვენია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ფარერები | 2 | 0 | 1 | 1 | 3:7 | 1 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

## II ჯგუფი

### არშემდგარი ფინალი

**ჰოლანდია 0:2 პორტუგალია**

0:1 სერჟიუ კონსეისაუ (11), 0:2 პაულეტა (44)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, მელხიორი, ფ. დე ბური, კოკუ, რაიციგერი, ვან ბომელი (ბოსველტი 72), ოვერმარსი (ტალანი 46), დავიდსი, კლუივერტი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 65), ზეედორფი, ბუმა

პორტუგალია: კიში, ჟორჟე კოშტა, დიმაში, სეკრეტარიუ, ფერნანდუ კოუტუ, ვიდიგალი (მეირა 90), ფიგუ, ბინუ, პაულეტა (სიმაო 90), რუი კოშტა (ზა პინტუ 87), სერჟიუ კონსეისაუ

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

48 000 მაყურებელი



ჰოლანდია — პორტუგალია 0:2. დავიდსი ფიგუს წინააღმდეგ

REUTERS ფოტო

**ამ** გუნდებს ამავე სარბიელზე, როტერდამში, სამი თვის წინაც შეეძლოთ შეხვედრა. რომ შეხვედროდნენ, ის მატჩი ევროპის ჩემპიონატის ფინალი იქნებოდა, მაგრამ არ გამოვიდა. ჰოლანდიამ და პორტუგალიამ მაშინ ნახევარფინალში წააგეს და „ფეიენოორდის" სტადიონზე თამაშიც ოქტომბრისთვის გადაედოთ — ოთხშაბათს იქ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის მთავარი დაპირისპირება შედგა.

ვგონებთ, ახლა ლუის ვან გაალის ოცნება: „აიაქსის" წვრთნისას მიღწეული დიდი წარმატებების შემდეგ, მოგეხსენებათ, ის „ბარსელონას" ჩაუდგა სათავეში და იქაც თავისი ფეხბურთელების შეყრას შეუდგა, ხოლო ესპანეთიდან წასული ჰოლანდიის ნაკრების თავკაცად დანიშნეს, სადაც სულ მთლად გაეხსნა ხელ-ფეხი. ერთი სიტყვით, სადაც ვან გაალია, მისი ბიჭებიც იქ არიან. უბრალოდ გუნდი იცვლის სახელწოდებას.

თუმცა, ამაში ცუდი არაფერია. ეს გახლავთ დიდებული მწვრთნელის და დიდებული ფეხბურთელების თანამშრომლობა, რომელიც, მართალია, ამჯერად წაგებით დასრულდა, მაგრამ ნუთუ არსებობს დედამიწაზე ადამიანი, რომელიც თვლის, რომ ჰოლანდიის ნაკრები მეტოქეებს თავს რისხვას ველარ დაატეხავს?

მეორე მხრივ, მოედანზე ვიხილეთ პორტუგალია, გუნდი, რომელიც ამტკიცებს, რომ დიდი ტურნირის შემდეგ, შემოდგომაზე, ფორმის დაკარგვა სავალდებულო სულაც არაა. როტერდამში მან ჩინებული და სადა ფეხბურთი ითამაშა, გამოიყენა ყველა კოზირი, რომელიც ბუნებისგან ჰქონდა ნაბოძები და მოიგო.

„ბედნიერი ვარ არა მხოლოდ გამარჯვებით, არამედ იმითაც, რომ ცხრილის სათავეში მოვექეცით, რაც ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანია. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამიერიდან საქმე გაგვიადვილდება. პირიქით, ყურადღების მოკრება ორმაგად მოგვიწევს, რადგან შესარჩევი შეჯიბრება ხანგრძლივი პროცესია" — განაცხადა მატჩის შემდეგ პორტუგალიელთა მწვრთნელმა ანტონიო ოლივეირამ, რომელმაც თავის ფეხბურთელთაგან პაულეტა, სეკრეტარიუ და ბინუ გამოჰყო.

მისმა დამარცხებულმა კოლეგამ ვან გაალმა კი ბრძანა: „პორტუგალია კარგად ორგანიზებული გუნდია. მასში მრავლად არიან მაღალი კლასის მოთამაშეები, მაგრამ ვერ დავეთანხმები მათ, ვინც იტყვის, რომ ჩვენ ცუდად ვითამაშეთ. მეტიც, პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეს ვჯობდით. ჩვენ ოთხი მომენტი შევქმენით".

ერთი მხრივ, ვან გაალის განცხადება უცნაურია, რადგან იმავ პირველ ტაიმში, როდესაც ჰოლანდიამ ოთხი მომენტი შექმნა, პორტუგალიამ არც აცია, არც აცხელა და ორი გოლი გაიტანა. მაგრამ, მეორე მხრივ, ჰოლანდიელების თამაშს ცუდი არც ჩვენ გვინდა ვუწოდოთ და საერთოდაც აზრი, თითქოს წაგებულმა აუცილებლად ცუდად ითამაშა, მთლად მართალი არ უნდა იყოს. სამაგიეროდ, მატჩის ცქერისას თავისთავად გაგახსენდებოდათ ლუიშ ფიგუს მიერ ორი დღით ადრე გამოთქმული სურვილი, თუ ჰოლანდია ღია ფეხბურთს გვეთამაშება, ძალიან კარგი იქნებაო.

და მართლაც, მასპინძლებმა ოსტატობაზე გათვლილი შემტევი ფეხბურთი აირჩიეს, მეტოქის თამაშის ჩაკვლა კი წინა პლანზე არ წამოუწევიათ. ვერ გეტყვით, რომ ასეთ დროს, თან ძლიერი გუნდის წინააღმდეგ, ყველაფერს პირველი გოლი წყვეტს, მაგრამ ლოგიკით მეტოქის ეს ტაქტიკა სწრაფი კონტრშეტევების შემძლე, უტექნიკურესი პორტუგალიისთვის მართლაც უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო.

და მაინც: „ის დარტყმა კარში რომ შესულიყო, თამაში შეიცვლებოდა, გავმხნევდებოდით და ენერგიაც მოგვიზღვავდებოდა" — გაიხსენა ვან გაალმა მომენტი, რომელიც მეორე ტაიმში, მე-60 წუთზე, ფილიპ კოკუს ჰქონდა.

საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე გოლის გატანა ფრანკ დე ბურსაც შეეძლო, მაგრამ მის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ბადეს ზემოდან მოხვდა.

სამაგიეროდ ფრანკ დე ბურისთვის ეს თამაში ნაკრების შემადგენლობაში 84-ე გახლდათ, რითაც რეკორდსმენ არონ ვინტერს დაეწია, ხოლო ტრიბუნებიდან ნარინჯისფერთ 48 ათასი ქომაგი ამხნევებდა, რომელთაგან ერთი ამასწინათ, სიდნეის ოლიმპიადაზე ეროვნულ გმირად ქცეული მოცურავე პიტერ ვან დენ ჰოგენბანდიც გახლდათ.

**ირლანდია 2:0 ესტონეთი**

1:0 კინსელა (25), 2:0 დაფი (50)

ირლანდია: ა. ჯელი, კარი, ჰარტი, ბრინი, დაფი, როი კინი, მაკატირი (დაფი 46), კინსელა, ქუინი, რობი კინი (ფოლი 88), კილბეინი (ფინანი 88)

ესტონეთი: პოომი, ლემსალუ, სტეპანოვი, ალასი, საგიაუკი, ვიკმაე (მაავისტუ 68), ტერეხოვი, ობერი, ანისტე, რეიმი, ზელინსკი (უსტრიცკი 68)

მსაჯი: ტერი ჰუგი (ნორვეგია)

34 962 მაყურებელი

**ირლანდიის** ნაკრები მეორე შესარჩევ ჯგუფში წარმატებით სვლას განაგრძობს. ჰოლანდიაში ჰოლანდიასთან და პორტუგალიაში პორტუგალიასთან ფრის შემდეგ მან დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე" ესტონეთს მოუგო 2:0.

მიკ მაკარტის ნაცადი შემადგენლობა არ შეუცვლია, ხოლო ბალტიისპირელებმა მასპინძლებს ხეირიანი წინააღმდეგობა ვერც მოედნის შუაში გაუწიეს და ვერც საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან, რის შედეგადაც მათ კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა. კარგა ხანს ვერგამოყენებული [illegible] სახიფათო მომენტების შემდეგ, 25-ე წუთზე ნახევარმცველმა მარკ კინსელამ როგორც იქნა გახსნა ანგარიში და, სხვათაშორის, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გაიტანა. ინგლისური „ჩარლტონ ატლეტიკის" კაპიტანს პასი თავით მაღალმა ნილ ქუინმა დაუგდო.

„გოლს დიდხანს ველოდე და როცა ბოლოს და ბოლოს ბურთი ბადეში დავინახე, ძალიან გამიხარდა" — თქვა მატჩის შემდეგ კინსელამ.

მეორე გოლი კი შესვენების შემდეგ მალევე გავიდა: იგი ევერტონელი რიჩარდ დანის დარტყმას და მეკარე მარტ პოომისგან ბურთის ასხლეტას მოჰყვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |

## III ჯგუფი

### თმის შეღებვა რომ შველოდეს...

**ისლანდია 1:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0 გუდიონსონი (89)

ისლანდია: ბ. კრისტინსონი, ა. ჰელგასონი, ჰერმიდარსონი, ვიდარსონი, გუნარსონი, რ. კრისტინსონი (გრეტარსონი 46), ჰ. ჰელგასონი, სვერისონი, გუდიონსენი, გუდიონსონი, დადასონი

ჩრდ. ირლანდია: კეროლი, ლომასი, ჰიუზი, ტაგარტი (უილიამსი 46), მერდოკი, ლენონი, ჯონსონი, მეკილტონი, ჰეილი, ჰორლოკი, ს. ელიოტი (გრეი 82)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

5 500 მაყურებელი

**ბრიტანელთა** მეკარის როი კეროლის შეცდომა სტუმრებს წაგებად დაუჯდათ — ისლანდიამ შინ ჩრდილოეთ ირლანდია დაჯაბნა და პირველი სამი ქულაც ჩაიწერა.

როგორც გაირკვა, ტყუილად იმუქრებოდა სტუმართა მწვრთნელი სემი მაკილროი, რეიკიავიკიდან სამ ქულას წამოვიღებთ და გაისად ჩეხებს გამარჯვებულის ფსიქოლოგიით დავუხვდებითო. მისი და შეგირდების ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა: მატჩის ბოლო წუთი მიმდინარეობდა, როცა კეროლი ჯარიმის გათამაშებისას შეცდა, ეიდურ გუდიონსონმა კი დრო იხელთა და ბურთი ბრიტანელთა კარში შეაგორა.

ცხადია, მაკილროი ნაწყენი იყო და თავდაპირველად მეკარის შეცდომა აღნიშნა: „კეროლიმ მარტივი გოლი გაუშვა, რამაც ორი ქულა დაგვაკარგვინა, თუმცა ისიც უნდა გავიხსენო, რომ მან მანამდე რამდენჯერმე გვიხსნა. ის ცუდი მეკარე არ არის და ამას კიდევ დაამტკიცებს. უბრალოდ, ამჯერად არ გაუმართლა".

ისლანდიელთა თავკაცი ატლი ედვალდსონი, ბუნებრივია, ხარობდა — ყველა ჩემი მოთამაშე ძალიან მომეწონაო — თქვა მწვრთნელმა და იქვე დასძინა: „მთელი მატჩის განმავლობაში ძალ-ღონე არ დაგვიზოგავს, გოლი კი მხოლოდ მიწურულს გავიტანეთ. შედეგით კმაყოფილი ვარ, მითუმეტეს, რომ ორი წაგებული შეხვედრის შემდეგ გავიმარჯვეთ".

ისიც გავიხსენოთ, რომ მატჩის წინ ექვსმა ოლსტერელმა თმა შეიღება, ეს წარმატების მიღწევაში ძალიან გვეხმარებაო, მაგრამ თავის გაყვითლებას საქმეს რომ შველოდეს... ისე, სტუმრებს გატანა შეეძლოთ — გერი ტაგარტმა ხუთი მეტრიდან ააცილა. მაკილროიმ პრეს-კონფერენციაზე ეს საგანგებოდ აღნიშნა: „გერის უნდა გაეტანა. როცა ეს მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მაშინვე ვიფიქრე, ალბათ, ველარც მოვიგებთ მეთქი. ვიგრძენი, ფეხბურთელებსაც გაუცრუვდათ იმედები. თუმცა ამით არაფერი დასრულებულა, მთავარი მატჩები ჯერ კიდევ წინ გველის."

წინ კი დიდი შესვენებაა, მატჩები მარტის მიწურულამდე აღარ ჩატარდება. მერე, ჩრდილოირლანდიელები ჩეხებს დაუხვდებიან. ამ შეხვედრაში ბრიტანელებს სტივ ლომასი დააკლდება, რომელმაც ოთხშაბათს წითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაციის მოხდა მოუწევს.

### დანია 1:1 ბულგარეთი

1:0 სანდი (73), 1:1 ბერბატოვი (82)
დანია: შმაიხელი, რომედალი, ჰენრიქსენი, გრავესენი, ჰაინცე, ჰელვეგი, ბ. ნილსენი (იენსენი 46), გრონკიაერი (მიკაელსენი 55), ტომასონი (ა. ნილსენი 79), ტოფტინგი, სანდი
ბულგარეთი: ზდრავკოვი, მ. პეტროვი, მ. პეტკოვი (ტოდოროვი 77), ბ. ივანოვი, კირილოვი, კიშიშევი, მ. ხრისტოვი (პეევი 68), გ. ივანოვი (ბერბატოვი 64), ბალაკოვი, პაჟინი, ს. პეტროვი
მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)
39 847 მაყურებელი

**თუ მასპინძელთა** მწვრთნელ მორტენ ოლსენის სიტყვებს ვენდობით, თამაში დანიელებს უნდა მოეგოთ. „სამი თუ ოთხი ალალი შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ გავიტანეთ, მეტოქეს კი ჩვენს კართან ხიფათი საერთოდ არ შეუქმნია“ — განაცხადა დანიელმა.

ასეა თუ ისე, ბულგარელმა დიმიტარ ბერბატოვმა 82-ე წუთზე გაქვითა ანგარიში და ებე სანდის შრომა, რომელმაც გოლი 73-ე წუთზე გაიტანა, ქარს გაატანა. ისე, თურმე მასპინძლებს აშკარა პენალტი დაუკარგეს, როცა 70-ე წუთზე რომედალი ბულგარელმა გეორგ პეევმა წააქცია. მორტენ ოლსენმა სინანულით აღნიშნა, ასეთ უდავო თერთმეტმეტრიანს რომ არ დაგინიშნავენ, მერე ყველაფერი შენს საწინააღმდეგოდ შემოტრიალდებაო.

მესამედ გვიწევს ბულგარელთა კარის დარაჯის — ზდრავკო ზდრავკოვის კარგი თამაშის აღნიშვნა. მეკარემ ამჯერადაც იყოჩაღა, როცა იან მიკაელსენის ახლო მანძილიდან დარტყმული ოსტატურად მოიგერია. ბულგარელთა გოლი კი ვეტერანმა კრასიმირ ბალაკოვმა წამოიწყო. მერე შეცვლაზე შესულმა ბერბატოვმა თომას ჰელვეგი და პიტერ შმაიხელი მოატყუა და ბურთი დანიელთა კარის ბადეში შეაგორა.

### მალტა 0:0 ჩეხეთი

მალტა: მუსკატი, საიდი, ჩეტკუტი, სპიტერი, დებონო, გიგლიო (ტურნერი 46), ბუზუტილი, აგიუსი (კამილერი 46), ნვოკო, ბრინკატი, ზარა
ჩეხეთი: სრნიჩეკი, რეპკა, რადა, ნედვედი, ფუკალი (ლატალი 46), პ. პოროვატი (ულჩეკი 46), ტაისი, პობორსკი, კოლერი, სიონკო (ლოკვენცი 46), ბეიბლი
გაძევება: რეპკა (60)
მსაჯი: ჟელკო სირიჩი (ხორვატია)
8 000 მაყურებელი


მალტა — ჩეხეთი 0:0. ადგილობრივი ნიგერიელი ჩუკ ნვოკო და პეტრ გლჩეკი

**წინა** ტურის მიმოხილვაში აღვნიშნეთ, ჩეხეთმა დიდებული სტარტი აიღო, ორი თამაში ზედიზედ მოიგო და ევებ წინა შესარჩევ ეტაპზე დამყარებული რეკორდი გაიმეოროს და ყველა შეხვედრა მოიგოსო, მაგრამ... ჩეხების მოგებათა სერია „ტა ქალის“ სტადიონზე დასრულდა.

იქაური მიმომხილველები აღნიშნავდნენ, ჩეხები ძალიან ერფეროვნად უტევდნენ, მალტელთა მეკარე მარიო მუსკატმა კი ამას მალევე აუღო ალღო და კოლერ-ბეიბლის შეტევებს ადვილად უმკლავდებოდაო.

სტუმრებს ფეხბურთელიც გაუძევეს. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ტომაშ რეპკა მინდვრიდან გააძევეს. შედეგად, მალტელები გააქტიურდნენ და ჩეხთა კარისკენაც გაიხედეს. კარმელ ბუზუტილი, რომელიც მალტის ნაკრებში 116-ე მატჩს ატარებდა, ძალიან ცდილობდა გოლის გატანას. მას წარმომობით ნიგერიელმა ჩუკს ნვოკომაც აუბა მხარი, მაგრამ ამაოდ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| დანია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| მალტა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

## IV ჯგუფი

## არაკეთილმეზობლური

### სლოვაკეთი 0:0 შვედეთი

სლოვაკეთი: კონიგი, დჟურიკა, შობონა, ტიმკო, კარჰანი, სუხანჩოკი, ბალიში, ლეიტნერი, მესაროში (პრონაზკა 86), შ. ნემეტი, მორავჩიკი (გრეშკო 58)
შვედეთი: ჰედმანი, ნილსონი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, მელბერგი, მიალბი, სვენსონი (ოსმანოვსკი 70), იონსონი (მილდი 47), ლიუნგბერგი, ლარსონი, კ. ანდერსონი (დ. ანდერსონი 82)
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
11 227 მაყურებელი

**თავიდანვე ვთქვათ,** რომ IV ჯგუფის მატჩები დანარჩენებთან შედარებით მწირგოლიანი გამოდგა — სამ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გავიდა და ისიც სტუმრების ანგარიშზეა.

ბრატისლავაში სლოვაკეთი და შვედეთი უგოლოდ გაიყარნენ და თუ მატჩისწინა და თავად მატჩისეულ პერიპეტიებს გავითვალისწინებთ, სტუმარ-მასპინძელს უკმაყოფილების საბაბი არც ჰქონიათ.

ბრატისლავაში დამარცხების შემთხვევაში პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო ლაგერბეკ-სოდერბერგის ბედი (ისედღესაც გაურკვეველია, დარჩებიან თუ არა ისინი შვედთა ნაკრების სათავეში), ამიტომ შვედეთი დასაწყისშივე გააფთრებით ეკვეთა მეტოქეს, მაგრამ მხოლოდ ერთ რეალურ საგოლე მომენტს გამორჩა: მე-15 წუთზე ანდრეს სვენსონმა იყოჩაღა, უძლიერესად დაჰკრა ბურთს ოციოდე მეტრიდან და მასპინძლები მხოლოდ მეკარე კონიგის დროულმა რეაქციამ იხსნა.

სლოვაკებზეც ვთქვათ, რომელთაც გამარჯვების არცთუ მცირე შანსი ჰქონდათ. მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წევრი აკლდათ, მაგრამ მაინც ერთობ შემართულნი დაუხვდნენ სკანდინაველებს. ისინი მეტოქესთან შედარებით უფრო დიდხანს ფლობდნენ ბურთს და სახიფათო მომენტებიც შექმნეს მაგნუს ჰედმანის კართან. თითოჯერ ნემეტმა და ლეიტნერმა ვერ ივარგეს, 74-ე წუთზე კი სტუმრები აშკარა გოლს გადაურჩნენ — საჯარიმოს ხაზიდან ნახევარმცველმა ლუბომირ მესაროშმა გაისროლა, მაგრამ ჰედმანმა ბურთი წარმოუდგენელი ნახტომით მოიგერია.

### მოლდოვა 0:0 მაკედონია

მოლდოვა: ხმარუკი, სტრატულატი, კატინსუსი, ტესტიმიცანუ, რებეჯა (ეპურეანუ 46), სტროენკო, კურტიანუ (ბორეცი 65), შიშკინი (როგაჩოვი 56), სოსნოვსკი, გაიდამაშჩუკი, კლეშჩენკო
მაკედონია: ჩილევსკი, სტავრევსკი, ლაზაროვსკი, სედლოსკი, გრასიმოვსკი, სერაფიმოვსკი (ვესელინოვსკი 70), შაინოვსკი (კარანფილოვსკი 46), მიჩევსკი, გ. ხრისტოვი, ჩირიჩი (მისერდოვსკი 85), შაკირი
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
4 000 მაყურებელი

**2001 წლის 24 მარტს** ჩაატარებს მოლდოვის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგ მატჩს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის ნაკრების საფეხბურთო შიმშილი (მოუგებელ ოფიციალურ შეხვედრებს ვგულისხმობთ) ექვსწლიანი გახდება. ბოლოს მოლდოვამ 1995 წელს იმარჯვა (კიშინიოვში საქართველოს ნაკრებთან) და მის მერე ამაოდ ცდილობს ნავსის გატეხვას. არადა, მაკედონიელებთან გუშინწინდელ მატჩში მასპინძლები უდავოდ უკეთეს შედეგს იმსახურებდნენ (ისევე, როგორც 7 ოქტომბერს სლოვაკებთან) ფატალურად არ უმართლებთ მაციურას შეგირდებს: 90 წუთის განმავლობაში არაერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერას გამორჩნენ. მატჩის სურათის უკეთ აღსაქმელად ის ფაქტიც გამოდგება, რომ მაკედონიელები ხეირიანად მხოლოდ ერთხელ გადავიდნენ მასპინძელთა ნახევარზე. ეს... 70-ე წუთზე მოხდა, ამასობაში კი კლეშჩენკომ, ტესტიმიცანუმ და კომპანიამ კი სულ ძელ-ხარიხა უმტვრიეს მაკედონიელებს, მაგრამ...

„სათქმელიც კი არაფერი მაქვს, ამას უიღბლობაც არ ჰქვია. მეტოქეს დამსახურებას არ ვუკარგავ, მაგრამ ჩვენი უპირატესობა იმდენად თვალნათლივი იყო, რომ დიდი ანგარიშით მოგებას ვიმსახურებდით“ — განაცხადა მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავკაცმა ალექსანდრ მაციურამ.

### აზერბაიჯანი 0:1 თურქეთი

0:1 ჰაქან შუქური (72)
აზერბაიჯანი: კრამარენკო, აგაევი, იადულაევი, ახმედოვი, ლიჩკინი (მამედოვი 85), შ. გულიევი, გურბანოვი, ტაგიზადე (დამბაროვი 72), მუსაევი (ქარიმოვი 58), ვასილიევი, ე. გულიევი
თურქეთი: რუშთუ, ნიჰათი (ფათიჰი 46), ოგიუნი, ბიულენთი, ალფაი, არიფი (ტაიფური 46), ერგიუნი, სუათი, ჰაქან შუქური, იზეტი (ჰასან სასი 62), ჰაქან უნსალი
მსაჯი: ალან სნოდი (ჩრდ. ირლანდია)
40 000 მაყურებელი

**ბაქოში** ომი არ ყოფილა, მაგრამ დიდი შანსი იყო, მოედანი სულ ცოტა, რინგს დამსგავსებოდა. თურქეთ-აზერბაიჯანმა კეთილმეზობლობა დაივიწყა და გვარიან შეხლა-შემოხლაში დაასრულა ერთობ გაწელილი მატჩი.

ერთი შეხედვით, თურქებს არანაირი პრობლემა არ უნდა გასჩენოდათ ბაქოში სტუმრობისას. მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის ველური ყიჟინის თანხლებით მათ აქტიურად დაიწყეს თამაში, თუმც დებიუტშივე გამოჩნდა, რომ კავკასიელები არაფრის დათმობას აპირებდნენ. მასპინძელთაგან ვასილიევი გამოირჩეოდა. სწორედ მის ეფექტურ გარღვევას მოჰყვა პირველი ტაიმის ერთადერთი სახიფათო ეპიზოდი — აგაევის გამოზომილი პასით ვასილიევი საჯარიმოში შეიჭრა და წონასწორობადაკარგულ რუშთუს შვიდი მეტრიდან ძლიერად დაურტყა. თურქები ძელმა იხსნა. მთლიანობაში იგორ პანამარიოვის გაწვრთნილებმა პირველი ტაიმი კარგად ჩაატარეს. ეს რომ ასეა, ისიც მოწმობს, რომ თურქებს პრაქტიკულად მომენტი არ შეუქმნიათ.

პირველის მსგავსად გაგრძელდა მეორე ტაიმიც. ერთ ეპიზოდში აზერბაიჯანელები ლუჩკინის წაქცევისთვის პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ არბიტრმა სხვაგვარად განსაჯა. მერე კი უხეშობამ იმატა და ამ მიზეზით ფეხბურთელებმა ერთმანეთისთვის მუშტებიც არ დაიშურეს. თამაში ორჯერ შეწყდა, მაგრამ მსაჯი მხოლოდ გაფრთხილებებით შემოიფარგლა.

გოლი კი 72-ე წუთზე გავიდა და სუათის ფლანგურ გარღვევას მოჰყვა. მან კარგად შენიშნა საჯარიმოში შეჭრილი მცველაკიდებული შუქური და ბურთი ფეხზე დაასვა. „ინტერის“ ფორვარდსაც თავისიანთა გახარება არ გასჭირვებია. „ჩვენ აქ სამ ქულას ვგეგმავდით და ავიღეთ კიდეც, ოღონდ ჩემების თამაშით უკმაყოფილო ვარ“ — განაცხადა სენოლ გიუნეშმა. თავჩაღუნულმა და დამწუხრებულმა იგორ პანამარიოვმა კი თქვა, ქულას ვიმსახურებდითო. ასეც იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

## V ჯგუფი

## მე, ქვემორე ხელისმომწერი...

### ნორვეგია 0:1 უკრაინა

0:1 შევჩენკო (49)
ნორვეგია: ოლსენი, ბერგდოლმო, იონსენი, ბერგი, ბასმა, ივერსენი, მიუკლანდი, ლეონარდსენი (ფლო 54), ბაკე (ჰელსტადი 75), სოლსკაერი, სტრანდი
უკრაინა: შოვკოვსკი, ლუჟნი (ფიოდოროვი 80), ნესმაჩნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, შევჩენკო, გუსინი, ფორობეი, პოპოვი (იაშკინი 50), რებროვი
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
23 612 მაყურებელი

**ექვსი** მატჩია, ნორვეგიას არ მოუგია. მას შემდეგ, რაც ევრო 2000-ზე ესპანელი მეკარე მოლინა კარიდან უაზროდ გამოვარდა და ივერსენს გოლი გაატანინა, ნილს იოჰან სემბის გუნდს ფრეზე უკეთესი შედეგი არ უნახავს. შედეგად, სკანდინაველები ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზე აღმოჩნდნენ და ზედიზედ მესამე მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის პერსპექტივა ერთობ გაიუარესეს.

ოთხშაბათს მასპინძლებს, სხვა ყველაფერთან ერთად, ბედმაც უმუხთლათ. ორად-ორი საგოლე მომენტი შექმნეს უკრაინელებმა: ერთი პირველ ტაიმში, როცა გუსინმა ბურთი სანტიმეტრით ააცილა ოლსენის კარს და მეორე, რომელიც 49-ე წუთზე დმიტრულინის ზუსტი პასით და ანდრეი შევჩენკოს სამქულიანი გოლით დამთავრდა. მანამდე და განსაკუთრებით ამის მერე ბურთი ძირითადად შოვკოვსკის საჯარიმოსთან ტრიალებდა. ვერც იმას იტყვის კაცი, სტუმართა მეკარე იყო უბადლოო — ბოლო 15 წუთში მას ბურთი ორჯერ გაუვარდა ხელიდან. პირველ შემთხვევაში უელსთან ქულის გადამრჩენ ტორსტენ ჰელსტადს შეეძლო ლამის ცარიელი კარის აღება, მაგრამ მოედანზე ორი წუთის შესულმა ოთხი დღის წინანდელის გამეორება ვეღარ შეძლო. წამატებულ წუთებზე კი მსგავსი უზუსტობა მიუკლანდის თავში ხელების წაშენის მიზეზიც გახდა.

მოკლედ, არცთუ ოპტიმალურ ფორმაში მყოფ უკრაინელებს და მათ ჯანმრთელობაშერყეულ მწვრთნელს ზამთარმა სულზე და მეორე-მესამე ადგილზე მოუსწრო. ვალერი ლობანოვსკის ალბათ არ გაუჭირდება, მარტამდე დარჩენილი დრო ნახევარდაცვის განახლებას მოახმაროს. აი, ნორვეგიელთა მწვრთნელი რას იზამს, ძნელი სათქმელია. დღესდღეობით იქ მეტად გაურკვეველი ვითარებაა. რატომ?

გუშინ ნილს იოჰან სემბმა პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა, რომ ნაკრების მწვრთნელობიდან წასვლა სურს. „გადადგომის შესახებ განცხადება ფეხბურთის ფედერაციას უკვე ვაახლე“ — თქვა ეროვნული გუნდის თავკაცმა, რომელსაც, შეგახსენებთ, ამ თანამდებობაზე დებიუტიც მარცხიანი ჰქონდა — 1:3 შინ ლატვიასთან ევრო 2000-ის შესარჩევში. „მართალია, ყველაფერში დამნაშავე მე არ ვარ, მაგრამ დღეს ცხრა ქულა რომ არ გაგვაჩნია, ჩემ წილ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ“ — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება სემბმა.

აბა, რაღა გაურკვეველი ვითარებააო, იკითხავთ. საქმე ისაა, რომ ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციამ სემბის განცხადება არ დააკმაყოფილა. „ჩვენ გვსურს, რომ სემბი დარჩეს. ფედერაცია მას ენდობა და ვფიქრობთ, რომ მისი გადადგომა კარგს არაფერს მოგვიტანს — გუშინვე განაცხადა ფედერაციის პრესატაშემ როგერ სოლჰეიმმა და დასძინა — ნილს იოჰან სემბს ნაკრებთან ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ვიმედოვნებთ, ამ ვადის გასვლამდე ის თავის სამუშაოზე დარჩება.“

### ბელარუსი 2:1 სომხეთი

1:0 ხაცკევიჩი (23), 2:0 რომნოვი (34), 2:1 ხოჯოიანი (60)
ბელარუსი: ტუმილოვიჩი, იახიმოვიჩი, ოსტროვსკი, ლუხვიჩი, ლავრიკი, გურენკო, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, რომაშჩენკო (სკრიპჩენკო 89), ვასილიუკი (შუმეიკო 60), რიჟნიუკი
სომხეთი: აბრამიანი, სუკიასიანი, ხოჯოიანი (ართავაზ კარამიანი 61), ოვსეპიანი, ვარდანიანი, ხაჩატრიანი, პეტროსიანი (არმან კარამიანი 85), ვოსკანიანი, დოხოიანი, შახგელდიანი, მოვსესიანი
მსაჯი: სორენ კორმოდინი (რუმინეთი)
20 000 მაყურებელი

### პოლონეთი 0:0 უელსი

პოლონეთი: დუდეკი, კლოსი, ზიელინსკი, მიხალ ჟევლაკოვი, ვალდოხა, კრჟინოვეკი (რზასა 70), სვიერჩევსკი, კარვანი, ოუკოვიაკი (ოლისადებე 76), კალუჟნი, გილევიჩი (კრიჟალოვიჩი 56)
უელსი: ა. ჯოუნსი, დილანი, პეიჯი, მელვილი, კოულმენი, სევიჯი, რობინსონი, პართსონი (მ. ჯოუნსი 76), ბლეიქი, სპიდი, გიგზი
მსაჯი: ლუშილიუ კარდოსო კორტესი (პორტუგალია)
8 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბელარუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| უელსი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

## VI ჯგუფი

## მე მსაჯისგან რა მინდოდა...

### ხორვატია 1:1 შოტლანდია

1:0 ბოკშიჩი (16), 1:1 გალაჰერი (24)
ხორვატია: პავლოვიჩი, რ. კოვაჩი, იარნი (ჟივკოვიჩი 46), სოლდო (ბისკანი 46), შტიმაცი, სიმიჩი, სარიჩი, პროსინეჩკი, ბალაბანი, ნ. კოვაჩი, ბოკშიჩი (ვუგრინეცი 76)
შოტლანდია: სალივანი, ვეირი, ნეისმიტი, მ. ელიოტი, ჰენდრი, ბოიდი, ჯონსტონი (დიკოვი 46; ჰოლტი 90), ბარლი, გალაჰერი, ჰათჩისონი, კამერონი
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
30 000 მაყურებელი

**ფრანგმა** არბიტრმა ჟილ ვესიემ ჩათვალა, შეურაცხყოფა მომაყენესო და ზაგრების „მაქსიმირზე“ 30 ათასი მაყურებლის თვალწინ სქოთი მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი მეორე ტაიმში სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე გააძევა.

ნამატჩევს კრეიგ ბრაუნმა თავისი საქციელისთვის ბოდიში მოიხადა, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, მსაჯისთვის სიტყვაც არ მითქვამს, პირით ხაზთან მდგომი მხოლოდ ჩემს ფეხბურთელებს ვუყვიროდიო. შედეგით კი ბრაუნი აშკარად კმაყოფილი ჩანდა: „ყველასთვის ცნობილია, რაოდენ ძნელია ხორვატიასთან სტუმრად თამაში. ურთულესი მატჩი ბრწყინვალედ დავასრულეთ, ახლა კი ვგრძნობ, რომ შოტლანდიას ჯგუფიდან გასვლა ძალუძს“. ვერაფერს იტყვი, მართალია კაცი. სქოთებმა ჯგუფში სამი მატჩი გამართეს და სამივე სტუმრად, მოპოვებული 7 ქულაც ბრიტანელებს უთუოდ აქტივში ჩაეთვლებათ. დარჩენილი ხუთიდან ოთხი გლაზგოში, „აიბროქსზე“ უწევთ.

...ანგარიში მე-16 წუთზე გაიხსნა, როცა ალენ ბოკშიჩმა საჯარიმოს კუთხესთან თანაგუნდელის გრძელი პასი მიიღო და ნილ სალივანს ბურთი დაუფიქრებლად დაურტყა. სტუმრებს ყურები არ ჩამოუყრიათ. ბრაუნის ტაქტიკამ — კონტრშეტევებზე თამაშმა — გაამართლა და 8 წუთშიც ტაბლოზე 1:1 აინთო: კოლინ კამერონმა ხორვატები სწორედ კონტრშეტევისას გამოიჭირა, ფლანგური გარღვევა საჯარიმოში უმეთვალყუ-

გაგრძელება მეექვსე გვერდზე



ეროვნული ბიბლიოთეკა
REUTERS
ხორვატია — შოტლანდია 1:1. სქოთი კოლინ კამერონი გზად პრემიერლიგელ იგორ შტიმაცს (№5) გადაეყარა

დასაწყისი მეოთხე გვერდზე

რეოდ დარჩენილ კევინ გალაჰერისკენ პასით დაასრულა. ნიუკასლელსაც ექვსიოდე მეტრიდან მეკარე ჟელკო პავლოვიჩის დამწუხრება არ გასჭირვებია.

მეორე ნახევრის მე-15 წუთზე რობერტ პროსინეჩკის ძლიერად გასროლილმა ქომაგთა გულები ააფორიაქა — ბურთი სალივანის კარის ძელს მოხვდა. მოგება შოტლანდიასაც შეეძლო. დონ ჰათჩისონს ბოლო წუთზე უფრო რომ ეყოჩაღა, ვინ იცის, ეგებ სქოთებს ახლა ცხრილში ასპროცენტიანი შედეგიც კი ჰქონოდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## VII ჯგუფი

# ავსტრიამ იცოდა

### ავსტრია 1:1 ესპანეთი

1:0 ბაური (21), 1:1 ბარახა (27)

**ავსტრია:** ვოლფარტი, პაცი, ბაური, ჰიდენი, შტრანცლი (შორტნაგლი 46), ფლოგელი, ჩერნი, კუჰბაუერი (შოპი 75), მაირლები, ჰერცოგი, კოციანი (კირხლერი 54)

**ესპანეთი:** კასილიასი, გარსია, სერხი, ბარახა, აბელარდო, იერო, ელგერა, მენდიეტა, ურსაისი (კატანია 60), რაული (გერერო 88), ვიქტორ სანჩესი (რუფეტე 46)

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

48 000 მაყურებელი

ნახევარში აღარც ჰქონიათ, ავსტრიელებმა კი შესვენებამდე კიდევ რამდენიმე შანსი გაატანეს ქარს.

49-ე წუთზე ესპანელები კიდევ ერთხელ გადარჩნენ — კოციანმა მცირე მანძილით აცილა მიზანს. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა, სტუმრები გონს მოეგნენ, ნელ-ნელა ავსტრიელთა საჯარიმოსაც გაუშინაურდნენ და 56-ე და 58-ე წუთებზე ორი მსგავსი კომბინაცია გაითამაშეს — სერხის ორ ჩაწოდებულს ორჯერვე ბარახამ შეაგება თავი: პირველად ვოლფარტმა ძელის დახმარებით განმუხტა სიტუაცია, მეორედ კი მასპინძლები ხარიხამ იხსნა. ამას მენდიეტას, კატანიას და ორჯერ რაულის მომენტები მოჰყვა, თუმცა ავსტრიის ნაკრებში 51-ედ მოთამაშე ვოლფარტი შეუვალი იყო. ისევე, როგორც მისი ესპანელი კოლეგა იკერ კასილიასი, რომელმაც ჯერ პირისპირ გასულ კუჰბაუერს არ გაატანინა, მერე — კირხლერს. ერთ ეპიზოდში სერხიმაც იმარჯვა, როცა მაირლების დარტყმულს გადაეფარა. ბოლო ხიფათი მსაჯის მიერ წარმატებულ მეორე წუთზე შეიქმნა — კირხლერს ავსტრიელთათვის სამი ქულის მოტანა შეეძლო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ ივარგა.

„კარგი, სანახაობრივი თამაში იყო. მოგება გვსურდა, მაგრამ... ავსტრიელებმა დღეს იცოდნენ, რა უნდა ექმნათ. მათ სივრცეები შეგვიზღუდეს და შეტევის საშუალება არ მოგვცეს, ასეთ დროს კი მოგება ძნელია. შედე-



REUTERS ფოტო

ავსტრია — ესპანეთი 1:1.
მასპინძელთა მცველმა მარტინ ჰიდენმა რაული (№10) არ გაახარა

**პარგ** გუნებაზე იდგა ავსტრიელთა თავკაცი ოტო ბარიჩიც. „ეს ფრე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენმა მთავარმა კონკურენტებმა — ბოსნიამ და ისრაელმა — ესპანელებთან ქულის აღება ვერ შეძლეს. დღევანდელი შედეგი სამართლიანია, ქულა აშკარად დავიმსახურეთ. ყველა ფეხბურთელის თამაშით კმაყოფილი ვარ. მატჩის შემდეგ გასახდელში მათ მადლობაც გადავუხადე. ვეცდებით, ასევე გავაგრძელოთ. თუ ეს მოვახერხეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე წავალთ“ — თქვა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე.

შაბათს ლიხტენშტაინთან 1:0 მოგების მიუხედავად, ავსტრიულმა პრესამ ნაკრები გააკრიტიკა. ესპანელებთან სულ სხვა გუნდს იხილავთო, დაჰპირდა მაშინ ქომაგებს ბარიჩი.

აასრულა მწვრთნელმა დანაპირები. ოთხშაბათს ავსტრიის ნაკრებმა საკმაოდ კარგი, მობილიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში, რომლის განმავლობაშიც მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო.

შეხვედრა ავსტრიელთა შეტევებით დაიწყო. კასილიასსაც მალე მოუხდა თამაშში ჩართვა, როცა კირხლერის სახიფათო დარტყმა მოიგერია. მე-15 წუთზე „რეალის“ მეკარემ ჩერნის შორიდან ძალიან სახიფათოდ გასროლილიც კუთხურზე გადააგდო. მესამე მწვავე შეტევას კი გოლი მოჰყვა — კუთხურიდან ჰერცოგის ჩაწოდებული ბურთი ბაურმა კარში გადაგზავნა.

48 ათასი ქომაგის სიხარულმა სულ ექვს წუთს გასტანა, რადგან ესპანელთა პირველივე ნორმალურ შეტევას საპასუხო გოლი მოჰყვა. ბურთი ამჯერადაც კუთხურიდან გავიდა — ბარახამ ავსტრიელებს უყურადღებობა არ აპატია და ახლოდან თავით ანგარიში გაათანაბრა. მეტი მომენტი სტუმრებს პირველ

გით მაინც კმაყოფილნი ვართ. უკვე სამი თამაში ჩავატარეთ და შვიდი ქულა მოვიპოვეთ, რაც კარგი წინაპირობაა საიმისოდ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდეთ“ — განაცხადა ნამატჩევს ხოსე ანტონიო კამაჩომ.

### ისრაელი 3:1 ბოსნია

1:0 ბერკოვიჩი (12), 1:1 აკპაროვიჩი (48), 2:1 აბუქსისი (62), 3:1 კატანი (76)

**ისრაელი:** დავიდოვიჩი, ბენადო, ტალქარი, შულაბი, გერშონი, კეისი (ბენ-დაიანი 86), ტალი, რევივო, აბუქსისი, ბერკოვიჩი (ბენაიონი 60), მიზრახი (კატანი 73)

**ბოსნია:** გუსო, აკპაროვიჩი, მუსიჩი, ჰუჯუროვიჩი (კრუპინაცი 79), ვარეშანოვიჩი, ჰიბიჩი, ბოლიჩი, დემიროვიჩი (იულდიჩი 73), ბარბარესი, სალიჰამიჯიჩი, ბალიჩი

გაძევება: სალიჰამიჯიჩი (89)

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

30 000 მაყურებელი

**ისრაელის** ნაკრებმა ბოსნიას უმასპინძლა, დაამარცხა და 24 მარტამდე ჯგუფში მეორე ადგილზე დამკვიდრდა. ებრაელებს, ისევე როგორც ავსტრიელებს, პირველობაზე პრეტენზია არა აქვთ. აკი მათმა დანიელმა თავკაცმა რიქარდ მიოლერ-ნილსენმა თქვა კიდეც ესპანელებს ლიდერობას ვერავინ შეეცილებაო.

მეორეობის და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის მოკრძალებული პრეტენზია ამ ორ გუნდთან ერთად ამბიციურ ბოსნიელებსაც ჰქონიათ, თუმცა ოთხშაბათის მატჩით თუ ვიმსჯელებთ, ექსიუგოსლავიელებს ძალიან გაუჭირდებათ.

ისრაელის ნაკრები თელ ავივში ბოსნიელებს იოლად გაუსწორდა, თუმც დიდი სათამაშო უპირატესობა ტაბლოზე ცოტა მოგვიანებით აისახა. ანგარიში დებიუტშივე გაიხსნა — მიზრახისგან მიღებული ბურთი ბერკოვიჩმა გუსოს შორეულ კუთხეში გაუტანა. დაიწყო მეორე ტაიმი და ანგარიშიც კურიოზულად გათანაბრდა: საჯარიმოს გარეთ გამოსულმა მასპინძელთა მეკარემ ნირ დავიდოვიჩმა ბურთი თავით ცუდად



REUTERS ფოტო

ინგლისელთა დროებითი მწვრთნელი ჰოვარდ უილკინსონი: ალო, ფიფაა? სასწრაფოდ გვჭირდება აზერბაიჯანელი თანამსაჯი!

მოიგერია, აკპაროვიჩმაც დაახლოებით 30 მეტრიდან ცარიელ კარში აუღელვებლად გაგზავნა. 62-ე წუთზე მასპინძლები ხელმეორედ დაწინაურდნენ — იოსი აბუქსისმა ჯარიმიდან ბოსნიელები მეორედ დაამწუხრა — მისი დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, გუსომ ბურთს თვალი ძლივს გააყოლა. 76-ე წუთზე კი მოედანზე სამი წუთის შესულმა კატანმა სტუმრებს მესამეც გაუტანა.

ბოსნიელთა უსიამოვნებები ამით არ დასრულებულა. 89-ე წუთზე მათ ძალიან ცუდი ამბავი შეემთხვათ — მსაჯმა ნაკრების ლიდერი, მიუნხენის „ბაიერნში“ მოთამაშე ჰასან სალიჰამიჯიჩი გააძევა და ახლა მომავალ ორ მატჩს ბოსნიელები უმისოდ ჩაატარებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## VIII ჯგუფი

# ლიტვური ფეხბურთი აღარ არის

### ლიტვა 1:6 უნგრეთი

0:1 ილეში (24), 0:2, 0:3 ზ. ფეჰერი (36, 62), 0:4 ჰორვატი (66), 1:4 ბუიტკუსი (71), 1:5 ზ. ფეჰერი (72), 1:6 ლისტეში (84პ)

ილეშმა ვერ გაიტანა პენალტი (3, ააცილა)

**ლიტვა:** პადიმანსკასი, სკერლა, გლევეცკასი, რადზიუსი, კონჩელსკისი (გრაჟიუნასი 69), ბუიტკუსი, შემბერასი, ივანაუსკასი, პრეიკშაიტისი, მორინასი (დანილევიჩიუსი 83), იანკაუსკასი

**უნგრეთი:** კირალი, კორსოში (ბოდნარი 84), ჩ. ფეჰერი (იუჰარი 78), მატიუში (დომბი 73), შებოკი, პეტო, ზ. ფეჰერი, ლისტეში, ფ. ჰორვატი, ილეში, ჰამარი

გაძევება: რადზიუსი (59)

მსაჯი: ორჰან ერდემირი (თურქეთი)

2 000 მაყურებელი

**ნუ გაიკვირვებთ,** იტალიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ რომ თქვას, ჩვენი მთავარი მეტოქე ამიერიდან უნგრეთი იქნებაო. ჩავიდა 7 ოქტომბერს საქართველო კაუნასში და მასპინძლებს შავი დღე აყარა. იმავე კაუნასში ოთხი დღის მერე უნგრეთიც ჩავიდა და ლიტვა სულ მთლად მიწასთან გაასწორა.

გუშინდელ „სარბიელში“ ლიტველთა ახალგაზრდა მეკარის, გიტის პადიმანსკასის დაღონებულ სახეს ნახავდით. მეკარისთვის მეტი საშინელება რა უნდა იყოს — ოთხ დღეში, ორ ოფიციალურ მატჩში თავისი ქვეყნის სახელით, ათი ბურთი გაუშვა.

საქართველოსთან განადგურების შემდეგ უნგრელებთან თანამემამულეთა წარმატების იმედი ალბათ არც ლიტველებს ჰქონდათ, რადგან „დარიუს და გირენასზე“ მხოლოდ 2 000 ქომაგი მივიდა...

უნგრელთა მწვრთნელმა ბერტალან ბიჩკეიმ კაუნასში საბრძოლო შემადგენლობა ჩაიყვანა. ვისი მოწვევაც სურდა, ყველა მიიწვია და შედეგიც ერთი შეხედვით მოულოდნელი, მაგრამ ლოგიკური და ბრწყინვალე მოიმკო. ბალტიისპირელების განადგურება მას შემდეგ დაიწყო, რაც თურქმა მსაჯმა მასპინძლებს 59-ე წუთზე მცველი რადზიუსი გაუძევა. პორტუგალიურ „ბრაგაში“ მოთამაშე მიკლოშ ფეჰერმაც მერე აიწყვიტა, პირველ ტაიმში გატანილს ორიც მიამატა და ჰეთ-თრიქიც გამოაცხო. დროებით მწვრთნელად დანიშნულ იულიუს კვედარასს, თქმა არ უნდა, დებიუტი ჩაუმწარდა. მართალნი ყოფილან ჩვენი ლიტველი კოლეგები, რომ ამბობდნენ, ცუდადაა ჩვენი ფეხბურთის საქმე, დავიღუპეთო.

იტალია — საქართველოს მატჩისა არ იყოს, არბიტრმა აქაც ორი პენალტი დანიშნა და ორივე ერთი გუნდის კარში. თუ მესამე წუთზე ბელა ილეშმა ეს დიდი შანსი ვერ გამოიყენა, შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე იშტვან ჰამარის მოცელვისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გერმანული „შტუტგარტის“ ნახევამცველმა კრისტიან ლისტეშმა აუღელვებლად აქცია გოლად.

პრესკონფერენციაზე ბერტალან ბიჩკეიმ თავისი ფეხბურთელები შეაქო, ძალიან გახარებული ვარ, მოგებას კი ვგეგმავდით, მაგრამ, გამოგიტყდებით, ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდიო.

## IX ჯგუფი

# ვის შევჩივლოთ, ბახრამოვი მკვდარია

### ფინეთი 0:0 ინგლისი

**ფინეთი:** ნიემი, ჰელინი (რეინი 36), საარინენი (სალი 66), ჰიიპია, ტიჰინენი, ნურმელა, ვისი, ვალაკარი, ფორსელი (კუკა 76), ლიტმანენი, იოჰანსონი

**ინგლისი:** სიმენი, ფ. ნევილი, ბერი (ბრაუნი 69), საუთგეიტი, კოული, უაიზი, პარლოუ, სქოულზი, შერინგემი (მაკმანამანი 69), კოული, ჰესკი

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

36 210 მაყურებელი

**ტოფიკ ბახრამოვი** მკვდარია, ფრანგმა თანამსაჯმა ალენ ოგიუმ კი ბრძანა, გოლი არ იყოო. 87-ე წუთზე რეი პარლოუს დარტყმული საოცრად ჰგავდა 34 წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჯეფრი ჰერსტისას — ბურთი ხარიხას მოხვდა, კარის ხაზზე დაეცა და გამოვარდა. მოგვიანებით პარლოუ იტყვის: „ნაღდი გოლი იყო“. ამასვე ადასტურებს ტელეკამერაც.

არჩათვლილ გოლამდე 81 წუთით ადრე სხვა საკამათო მომენტიც იყო: მასპინძელთა კარისკენ გაჭრილი ტედი შერინგემი საჯარიმო მოედნის გარეთ გამოსულმა მეკარე ანტი ნიემიმ წააქცია. არადა, თითქოს სადავო არაფერია, მსაჯმა ამ შემთხვევაში უყოყმანოდ უნდა ამოიღოს წითელი ბარათი, ალენ სარსმა კი ფინელს ყვითელი აკმარა. „ვერაფერი გამიგია — თქვა მატჩის შემდეგ შერინგემმა — ბოლოს და ბოლოს ეთქვა, რომ მეკარეს არ წავუქცევივარ, ასეთი რაღაც შუალედური გადაწყვეტილებით კი თამაში გააფუჭა“.

უსუსური მსაჯობის გარდა, ინგლისელები უხეირო მოედანსაც უჩივიან, გრუნტი საოცრად მძიმე იყოო. თითქოს ინგლისის ნაკრებისადმი ქომაგებს სასაყვედურო არაფერი უნდა ჰქონდეთ (მსაჯთა ფრანგული ბრიგადის ნაცვლად მატჩს სხვები რომ მომსახურებოდნენ, ინგლისს ახლა სამი ქულა ექნებოდა), მაგრამ არც მთლად ასეა საქმე.

ხუთშაბათის „მირორის“ პირველი გვერდი [illegible] „[illegible] და რეჯი კრეი“ (რეჯი კრეი სახელგანთქმული [illegible], რომელიც 60-იან წლებში შიშის ზარს სცემდა მთელ ლონდონს). „დეილი მეილს“ კი აინტერესებს: „აკონტროლებს ინგლისი ჯგუფში სიტუაციას?

ამგვარი უიმედობა არცთუ უსაფუძვლოა. კი, ინგლისი მსაჯმა დაჩაგრა, წინ კიდევ ექვსი მატჩია, ნაკრები აუცილებლად დააღწევს თავს ბოლო ადგილს და თუმცა ჯგუფში გამარჯვება აუხდენელ ოცნებად დარჩება, მსოფლიოს ჩემპიონატზე პლეი ოფიდან მოხვედრა სავსებით რეალურია, მაგრამ ფინელებთან მატჩში, ზემოთ აღწერილი მომენტებისა და ემილ ჰესკის ორიოდე იერიშის გარდა, ჰოვარდ უილკინსონის შეგირდებს არაფერი გაუკეთებიათ. სხვისთვის ეს იქნებ საკმარისზე მეტიც იყოს, მაგრამ არა ინგლისისთვის და თან ფეხბურთზე მეტად თხილამურობით განთქმულ ფინელთა წინააღმდეგ. ან სად გავექცეთ იმ ფაქტს, რომ მაიკლ ფორსელისა და იარი ლიტმანენის კომბინაციები სტუმრებისაზე ბევრად გააზრებული და სახიფათო იყო, აკი გარეთ საუთგეიტიც აღიარებს, შეთამაშება გვაკლდაო.

და ყველაფრის მიუხედავად, უილკო (ჰოვარდ უილკინსონს ასე ეძახიან) ამბობს: „როცა ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი სტუმრად ქულას იღებს და გოლს არ უშვებს, ცუდი შედეგი როდია ისე, დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი რუდი ფიოლერის ადგილას“.

მოისმენ ამ სიტყვებს და აღარ გაგიკვირდება, რომ ნაკრების მომავალი მწვრთნელის პოსტზე გულშემატკივრები სახედრისა და აქლემის კანდიდატურას ასახელებენ. ისე, მაიკლ ოუენი რომ დასაწუნებელი ფეხბურთელი არაა, ალბათ ამ ცხოველებმაც იციან.

### ალბანეთი 2:0 საბერძნეთი

1:0 ბუში (50), 2:0 ფაკაი (90)

**ალბანეთი:** სტრაკოშა, მუკა, ჩიპი, ჯუმბა (ფაკაი 75), რ. ვატა, ფ. ვატა (ბაშა 78), შკულა, კოლა, ა. ბაჯი, ბუში, ტარე (ბოგდანი 86)

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, ზასინასი, ვენეტიდისი (კიპარისისი 46), პაცაცოღლუ, უზუნიდისი, ზაგორაკისი (ლაკისი 70), გეორგიადისი, კარაგუნისი, ხუტოსი, ლიბეროპულოსი, ზიკოსი (პურსანიდისი 70)

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

22 000 მაყურებელი

**ბავშვივით** ხარობდა ალბანეთის პრემიერ-მინისტრი ილირ მეტა, ნაკრების მაისურა ჩაეცვა და მთელი ღამე ზეიმობდა. პრემიერმა თავისი მინისტრებიც აიყოლია და ნაკრების სასტუმროში ფეხბურთელები ასე აღლვგრძელა: „თქვენ ქვეყნის საუკეთესო ელჩები ხართ. ამ გამარჯვებამ ალბანეთს ეროვნული სიამაყის გრძნობა გაუღვიძა“.

პრემიერ-მინისტრი ოფიციალური პირია და სათქმელსაც პირდაპირ ვერ ამბობდა. მისი და მთლიანად ალბანელი ხალხის ნაცვლად ნაკრების კაპიტანმა რუდი ვატამ ილაპარაკა: „მოგებით ბედნიერები ვართ და რაკი ბერძნები დავამარცხეთ, ორმაგად“. საქმე ის გახლავთ, რომ ალბანელთა და ბერძენთა ურთიერთობას კეთილმეზობლურს ვერ დავარქმევთ. ყოველწლიურად ათასობით გაჭირვებული ალბანელი ცდილობს საბერძნეთში სამუშაოს პოვნას და ბერძნები მეზობლებს ოდენ იაფ მუშახელად აღიქვამენ.

აღსანიშნავია, რომ ალბანეთს საბერძნეთი აქამდე არასდროს დაემარცხებინა, რაც მათთვის განსაკუთრებით სადღესასწაულოა.

ოთხშაბათ ღამით პრემიერ მინისტრს ამაზე საფიქრალად არ ეცალა, ახლა კი დანაპირების შესასრულებლად ხაზინიდან ფულის აღება მოუწევს — მოგების შემთხვევაში თითოეულ ფეხბურთელს ათი ათას დოლარს ვუბოძებ, უთქვამს ილირ მეტას.

ბერძნები მარცხს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის არყოლას აბრალებენ. იქნებ ასეც იყოს — გეორგატოსისა და ამანატიდისის გარეშე სტუმრები თითქმის ყველა საჰაერო ბრძოლას აგებდნენ. ალბანელთა ორივე გოლიც მაღალ ჩაწოდებულს და ალბან ბუშისა და ერვინ ფაკაის თავურებს მოჰყვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ინგლისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

# ნუთუ ძაკერონი მიდის

...ნული ბიბლიოთეკა



ბრალმდებელ ული ჰოენესს ბრალს იქით სდებენ



ალბერტო ძაკერონი

**ერთ-ერთი** სააგენტო გვარწმუნებს, სეზონის დასრულების შემდეგ „მილანის“ თავკაცის პოსტს ალბერტო ძაკერონი დატოვებსო. უცნობია, ვისთან ან სად, მაგრამ ამას წინათ სპეციალისტმა განაცხადა: „მილანი“ ახლა ძალიან კარგი გუნდია და მწყინს, რომ მომავალი სეზონიდან მისი მწვრთნელი აღარ ვიქნები.“

მერ ძაკერონის მილანური კლუბის დიდებულებაზე ბევრი უსაუბრია და ამის დასტურად, აი, რა უთქვამს: „ევროპაში ცოტა კლუბი თუ დაიკვეხნის იმით, რომ ნაკრებს წამყვანი მოთამაშეებით ამარაგებს. შეხედეთ იტალიის ეროვნული გუნდის ნახევარდაცვას, რამდენი მილანელი თამაშობს. ეს კი ჩვენ ყველას გვეამაყება. განსაკუთრებით იმით ვარ ბედნიერი, რომ ფრანჩესკო კოკო უფრო და უფრო უმატებს. ნაკრების მარცხენა ფრთას კოკო და პაოლო მალდინი ჩინებულად ამაგრებენ.“

ძაკერონი ყოველთვის ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელებზე აკეთებდა აქცენტს. მას „სან სიროზე“ „ატალანტას“ ნახევარმცველი მასიმო დონატის მიყვანაც განუზრახავს, მილანური კლუბი კი ბერგამოელის სანაცვლოდ 14 მილიონ დოლარს იხდის. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, თუ ალბერტო „მილანიდან“ წავა, იგი ხსენებული ტრანსფერის განხორციელებას, ალბათ, ვეღარ მოესწრება. მწვრთნელს კიდევ ორი იმედისმომცემი მოთამაშე ამოუღია მიზანში — სალერნიტანელი იგლი ვანუკი და ემპოლელი მარკო მარკიონი. თუმცა ვარაუდობენ, უახლოეს მომავალში არც ეს შეთანხმება შედგებაო.

# ყველაზე ძვირი სილა

**სამი** კვირაც და მიუნხენის „ბაიერნს“ კაპიტანი შტეფან ეფენბერგი დაუბრუნდება. აქამდე ექიმები ვერაფერს ამბობდნენ იმაზე, თუ როდის შეძლებდა იგი თამაშს. არც იმას გამორიცხავდნენ, რომ გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელს ბუნდესლიგის ჩემპიონატის მთელი პირველი წრე ჩაეგდო. თუმცა გუშინ კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა გაამჟღავნა, რომ ეფენბერგი სამ კვირაში ისევ გავა მინდორზე.

„ბაიერნის“ გამთამაშებელი ამ ზაფხულს დაშავდა, როცა ახალი სეზონისთვის ემზადებოდა. თავდაპირველი ინფორმაციით, მას ერთი თვე უნდა გაეცდინა, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ 32 წლის ფეხბურთელს ოპერაცია ესაჭიროებოდა და...

ისე, დაშავებული შტეფან ეფენბერგი მართლაც „სამაგალითოდ“ იქცევა, დისციპლინასაც ერთობ „მკაცრად“ იცავს. თუ არ გჯერათ, 5 ოქტომბრის „სარბიელი“ იხილეთ და ამაში უმალ დარწმუნდებით. თუმცა თავად შეგახსენებთ:

მთვრალ ეფენბერგს 1 ოქტომბერს, ღამის 1 საათზე მიუნხენურ დისკობარ „P 1“-ში ერთი ქალი შემოელახა. ამისთვის ფეხბურთელი „ბაიერნმა“ 50 ათასი გერმანული მარკით დააჯარიმა. ეს რა არის — როგორც გუშინდელი გაზეთი „ბუნტი“ ამტკიცებს, „ეფეს“, იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ, სხეულის განზრახ დაზიანებისთვის კიდევ მინიმუმ ნახევარი მილიონის გადახდა მოუწევს.

„ბუნტმა“ კიდევ ერთი ფაქტი გამოამზეურა. დაზარალებულ ქალთან, რომელიც თურმე ლონდონში მცხოვრები, პროფესიით ექიმი, 32 წლის ვინმე კლაუდია ს. ყოფილა, ეფენბერგის ახლობელი მისულა და უთქვამს, ენას კბილი დააჭირე და 100 ათასი მარკით გამდიდრდებიო. გაჩუმდა თუ არა დაზარალებული, თავად განსაჯეთ. ქალბატონმა კლაუდიამ მისი მოქრთამვის მცდელობის ამბავი ხომ გაახმაურა, თან დაამატა, ფეხბურთელმა საკადრისად უნდა აგოს პასუხი და ფართო საზოგადოების წინაშე ბოდიშიც მომიხადოსო. ამის გაკეთებას კი ეფენბერგი არ აპირებს, რა ბოდიში, რის ბოდიშიო.

და კიდევ ერთი სენსაცია, რომელიც მიუნხენურმა გაზეთმა „AZ“-მ გამოაქვეყნა. გაზეთი ვარაუდობს, რომ ეფენბერგის ნდობით აღჭურვილი პირი, ვისაც დაზარალებულისთვის ქრთამის შეთავაზება შეეძლო, არც მეტი, არც ნაკლები, თვით „ბაიერნის“ მენეჯერი... ული ჰიონესია. დიახ, ული ჰიონესი, კაცი, რომელმაც ცოტა ხნის წინ „ლევერკუზენის“ თავკაცი კრისტოფ დაუმი ბინძური საქმეების კეთებაში დაადანაშაულა და ვის გამოც გერმანიაში დიდი სკანდალია. „AZ“-ს, მართალია, შესაბამისი მტკიცებები არ გააჩნია, მაგრამ ირონიულად აღნიშნავს, ჰიონესს ამგვარი საქმეები კარგად ეხერხებაო.

გაზეთის ეს განცხადება, ცხადია, „ბაიერნმა“ უმალ უარყო. „ყველაფერი მტკნარი სიცრუეა“ — თქვა კლუბის პრესატაშემ, მარკუს ჰიორვიკმა.

სანამ ყველაფერი გაირკვეოდეს, უკვე ცნობილია, რომ ეფენბერგის შემთხვევა გერმანული იურისპრუდენციის ისტორიაში შევა, როგორც „ყველაზე ძვირი სილის გარტყმა“. წინასწარი ინფორმაციით, თუ ეფენბერგის ჩადენილი საქციელი დამტკიცდება, მას 40-დან 90 დღემდე თავისუფლების აღკვეთა და 100 ათასი მარკა ჯარიმა შეეფარდება. თუმც თავდებით გათავისუფლებაც შეიძლება, ამ დროს საჯარიმო თანხა 500 ათასიდან მილიონნახევარ მარკამდე მერყეობს. ეს იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე მაღალხელფასიანთა რიცხვს მიეკუთვნება. ეფენბერგი კი სწორედ ამათგანია.

ასე რომ, „ეფეს“, ალბათ, არ ჩააყუდებენ.

**განო ოქროპირიძე**



შტეფან ეფენბერგს ჯობე გვარიანად შეუთხელდება



დევიდ ბექჰემი

## საფრანგეთი

### გამოტოვებული მატჩი

**სედანი 2:1 რენი**

1:0 კაპრონი (9), 2:0 კელდრანი (41), 2:1 ტურდო (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბასტია | 10 | 6 | 1 | 3 | 15:10 | 19 |
| პსჟ | 10 | 5 | 3 | 2 | 21:14 | 18 |
| ლანსი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:10 | 16 |
| ლილი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:8 | 15 |
| მონაკო | 10 | 4 | 3 | 3 | 16:14 | 15 |
| ტრუა | 10 | 4 | 3 | 3 | 15:13 | 15 |
| სედანი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | 15 |
| ლიონი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:9 | 14 |
| მარსელი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 14 |
| გენგამი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 14 |
| მეცი | 10 | 4 | 2 | 4 | 8:9 | 14 |
| ბორდო | 10 | 3 | 4 | 3 | 14:12 | 13 |
| ოსერი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:11 | 13 |
| რენი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:10 | 12 |
| ნანტი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:17 | 12 |
| სენტ ეტიენი | 10 | 2 | 4 | 4 | 16:20 | 10 |
| სტრასბური | 10 | 3 | 1 | 6 | 10:22 | 10 |
| ტულუზი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:14 | 6 |

### მეორე დივიზიონი

მე-14 ტური: ბოვე — ნიორი 1:4; კაენი — აიაჩო 2:0; კრეტეი — ლე მანი 1:0; გენიონი — მონპელიე 2:4; ლავალი — ანჟერი 4:1; ლორიანი — ლე ავრი 1:0; ნიცა — მარტიგი 2:1; ნიმი — შატორუ 2:1; ვასკეალი — კანი 3:0; ნანსი — სოშო 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლავალი | 14 | 9 | 2 | 3 | 21:12 | 29 |
| სოშო | 14 | 8 | 3 | 3 | 25:12 | 27 |
| მონპელიე | 13 | 8 | 3 | 2 | 20:11 | 27 |
| ლორიანი | 13 | 6 | 5 | 2 | 17:11 | 23 |
| ნიორი | 14 | 6 | 5 | 3 | 19:14 | 23 |
| ნანსი | 14 | 6 | 4 | 4 | 15:8 | 22 |
| ლე ავრი | 14 | 5 | 6 | 3 | 17:11 | 21 |
| შატორუ | 14 | 5 | 5 | 4 | 19:17 | 20 |
| კრეტეი | 14 | 5 | 4 | 5 | 13:12 | 19 |
| კაენი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:20 | 19 |
| ნიმი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:22 | 19 |
| ვასკეალი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:13 | 17 |
| ნიცა | 14 | 5 | 2 | 7 | 14:21 | 17 |
| მარტიგი | 14 | 3 | 7 | 4 | 11:13 | 16 |
| ლე მანი | 14 | 2 | 8 | 4 | 14:15 | 14 |
| ბოვე | 14 | 2 | 6 | 6 | 12:19 | 12 |
| გენიონი | 14 | 2 | 6 | 6 | 9:16 | 12 |
| აიაჩო | 14 | 3 | 3 | 8 | 9:20 | 12 |
| კანი | 14 | 2 | 5 | 7 | 17:24 | 11 |
| ანჟერი | 14 | 2 | 5 | 7 | 14:24 | 11 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

## კონკაკაფი

### B ჯგუფი. V ტური

**აშშ 0:0 კოსტა რიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| აშშ | 5 | 2 | 2 | 1 | 10:3 | 8 |
| გვატემალა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| ბარბადოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:16 | 3 |

# ბექჰემი იოლად გადარჩა

**გერმანიის** ეროვნულ ნაკრებთან მატჩში შაბათს „უემბლიზე“ მიღებული ტრავმა დევიდ ბექჰემისთვის არც ისეთი სერიოზული აღმოჩნდა, როგორც მედიკოსებს თავიდან ეგონათ.

პირველი გამოკვლევების შემდეგ ექიმებმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელს გასიებულ მუხლზე ოპერაციის გაკეთება ურჩიეს, მაგრამ ფერგიუსონი წინააღმდეგი წავიდა, რადგან ოპერაციის შემთხვევაში ბექჰემს ექვსი კვირა მოუწევდა დასვენება. „მანჩესტერსაც“ ჩემპიონთა ლიგის მეორე წრის ჩატარება უბექჰემოდ მოუწევდა.

„ფეხბურთელს რამდენიმე დღე დავასვენებთ. ვფიქრობთ, ეს მუხლის მოსაშუშებლად საკმარისი იქნება“ — თქვა მაშინ მანჩესტერელთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა. გუნდის ექიმმაც მას დაუჭირა მხარი — რამდენიმე დღეში გამოჩნდება, დასჭირდება თუ არა ნახევარმცველს ოპერაციაო. ჰოდა, გამოჩნდა კიდეც. გუშინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქირურგიული ჩარევა საჭირო არ არის.

ბექჰემი, რომელიც ოთხშაბათს ინგლისის ნაკრებს ჰელსინკში ფინელების წინააღმდეგ ვერ დაეხმარა, მინდორზე დაბრუნებას მომავალ კვირაში შეძლებს. ჩემპიონთა ლიგის მატჩში ჰოლანდიური „ეინდჰოვენის“ წინააღმდეგ იგი კვლავ ძირითადში იქნება. არ არის გამორიცხული, დევიდმა ამ უქმეებზეც ითამაშოს — პრემიერლიგის მორიგ ტურში „მანჩესტერი“ „ლესტერს“ ხვდება. ბექჰემის ამ შეხვედრაში მონაწილეობის ამბავი დღეს გადაწყდება, როცა ფეხბურთელი შაბათის შემდეგ პირველად ივარჯიშებს.

# მს კაცი ოცნებობს რეალზე

**ფრანჩესკო ტოტიმ** სულ ახლახან ოდინდელი ოცნება გაამხილა — რომაელ ქომაგთა კერპს თურმე ძალიან სდომებია მადრიდის „რეალში“ თამაში. გუშინწინ ქართველთა კარში დანიშნული პირველი პენალტის შემქმნელმა ფეხბურთელმა თამამად განაცხადა, რომ არ გამორიცხავს, „რომასთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ დედაქალაქი და სრულიად იტალია დატოვოს და სათამაშოდ ევროპის სხვა ქვეყანაში გადავიდეს.

„მადრიდის „რეალი“ ბავშვობიდან მიყვარდა. თუ აპენინებს გარეთ მომიწევს თამაში, უეჭველად ესპანეთში წავალ და „სამეფო კლუბში“ ჩავირიცხები“ — განაცხადა ტოტიმ. იტალიაში ჭორებიც დადის, ფრანჩესკო „რომასთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ დედაქალაქელებთან ახალ შეთანხმებას ხელს აღარ მოაწერს, თავისუფალი აგენტი გახდება, მერე მადრიდში წავა და ჩემპიონთა თასის რვაგზის მფლობელთან დაიჭერს საქმესო.

თავად ფეხბურთელი კი ამბობს: „რომასთან“ კონტრაქტის დასრულებამდე ჯერ კიდევ საკმარისი დროა, ამიტომ აჩქარება არ ღირს. საერთოდ, იტალიის ჩემპიონობა მწადია და ძალიან მინდა, სკუდეტო რომაულ კლუბთან ერთად მოვიგო. „რომაში“ ახლა ბევრი ჩამოსული ფეხბურთელი თამაშობს. ახლებიც შემოგვემატნენ, ამიტომ საფიქრალი ნაკლებია, მთავარია, საქმე ვაკეთოთ“.

შარშან სკუდეტო „ლაციოს“ დარჩა. ეს კი რომის ქომაგთა იმ ნაწილისთვის, ვინც „რომას“ ქომაგობს, ორმაგად სანერვიულოა. მოკლედ, ტოტის გუნდს წინა სეზონში არ გაუმართლა, იტალიის ნაკრებს კი ევროპის თასი ხელიდან გამოეცალა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ფრანჩესკო აღნიშნავს, რომ გასული თორმეტი თვე მის კარიერაში საუკეთესო იყო. სასიხარულო და იმედისმომცემ ფაქტად ტოტი იმას თვლის, რომ იტალიის ნაკრებში რეგულარულად დაიმკვიდრა ადგილი. ალექს დელ პიეროს ჩრდილს ამოფარებული ახლა უფრო ხშირად გადის მინდორზე. თუ ოცნება აუხდა და „რომასთან“ ერთად სკუდეტო მოიგო, მერე კი „რეალშიც“ აღმოჩნდა, მასზე ბედნიერი ხომ არავინ იქნება...



ფრანჩესკო ტოტი

# ვის აგინებ, ბიჭო!

**გუშინ** ჟენევაში უეფას სადისციპლინო კომისიის სხდომა შედგა, რომელზეც უღირს საქციელში მხილებულთ საერთო ჯამში 85 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა დაეკისრათ.

ყველაზე მკაცრად თურქული „გალათასარაი“ დაისაჯა — 50 ათასი ფრანკით (28 600 დოლარი). მიზეზი სტამბოლელ ქომაგთა ზედმეტი თავგამოდება გახდა. ჩემპიონთა ლიგაში „გალათასარაი“ — „რეინჯერსის“ მატჩის სანახავად მისულ გულშემატკივრებს ტუალეტის ქაღალდის რულონები ბლომად მიეტანათ, რომელთა მინდორზე სროლასაც ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე შეუდგნენ. არადანიშნულებისამებრ გამოყენებული ქაღალდის მოედნიდან გატანას საკმაო დრო დასჭირდა, რის გამოც მატჩის დაწყება რამდენიმე წუთით გადაიდო. პუნქტუალობის მოყვარული უეფასთვის „გალათასარაის“ დასაჯარიმებლად ეს რამდენიმეწუთიანი დაყოვნებაც საკმარისი გამოდგა. ამასთანავე, ამ მატჩზე დამსწრე უეფას დელეგატს შეუნიშნავს, რომ ხალხს ტრიბუნებიდან გასასვლელებიც ჩაეხერგა და ცხადია, უფროსობას აცნობა.

გულშემატკივრების გამო დაისაჯა მოსკოვის ცსკა. უეფას თასზე „ვიბორგის“ წინააღმდეგ სათამაშოდ ჭანიაში წასულ არმიელებს ფანობაც ბლომად გაჰყვა და თავი ტრიბუნებზე ჩხუბით და კოცონის დანთებით ისახელა. რუსებს 20 ათასი ფრანკის (11 400 დოლარი) გადახდა მოუწევთ.

ახლა ფეხბურთელებზეც. „პსვ ეინდჰოვენთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დევიდ ბექემი მწვრთნელმა 70-ე წუთზე შეიყვანა, თუმცა ოცი წუთიც საკმარისი იყო, რომ ბექემს არბიტრისთვის უხამსი ჟესტი ეჩვენებინა. შედეგად, ჯარიმა 10 ათასი ფრანკის (5 700 დოლარი) ოდენობით. უეფას თასზე „სენტ გალენი“ — „ჩელსის“ მატჩი, რომელიც ჩვენთვის რატი ალექსიძის დებიუტის გამოა საინტერესო, უეფას სხვა მიზეზით გამოურჩევია. თურმე ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს მსაჯისთვის მინდორზე, ხოლო ფრანკ ლებეფს გასახდელისკენ მიმავალისთვის გვარიანად შეუგინებიათ. ჩელსელები ფულის გადახდას გადაურჩნენ, ორ-ორმატჩიან დისკვალიფიკაციას კი — ვერა.

# სწორედ ის ჯენტილე

**მასიმო მორატიმ** მარჩელო ლიპი „ინტერის“ მწვრთნელობიდან მოხსნა და ვაკანსიაც გაჩნდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მარკო ტარდელის თხოვნა ყურად იღო და ახალგაზრდული ნაკრებიდან „ინტერში“ დაულოცა გზა. უქმად არც ფერმოში ქართველთმძლეველის ძველი სკამი დარჩენილა დიდხანს. გუშინ იგი ჯოვანი ტრაპატონის თანაშემწე კლაუდიო ჯენტილემ დაიკავა. ვინ გახდება დონ ტრაპის ახალი თანაშემწე, უცნობია და ნაკლებ მნიშვნელოვანიც.

გახსოვთ, ჯენტილე — ტარდელის თანაგუნდელი „იუვენტუსშიც“ და „სკუადრა ადურაშიც“, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი? თუ გახსოვთ, იმასაც ადვილად მოიგონებთ, ყასაბს რომ ეძახდნენ და მის სახელს ზღვარგადასული უხეშობის სინონიმად ხმარობდნენ. არადა, დღეს ჯენტილეს თამაშის გახსენებისას ვრწმუნდებით, რომ ეს მცდარი სტერეოტიპი იყო. კი, ჯენტილე საკმაოდ ხისტი და ძალისმიერად მოთამაშე მცველი გახლდათ და იტალია — არგენტინის მატჩში მარადონასაც ეუხეშა, მაგრამ ეს იყო და ეს, არაფერი განსაკუთრებული. სხვათა შორის, კლაუდიო ჯენტილე იმ მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

გაისად ივნისში ჯენტილე იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს, „ადურინის“, საქართველოში ჩამოიყვანს.

# ძალიან მენატრება ბრაზილიური მზე

***იშვიათად ხდება, მარიო ჟარდელმა მოედანი უგოლოდ დატოვოს — ბრაზილიელს ხომ ბურთის გატანის უტყუარი ალღო აქვს. იგი ახლა „გალათასარაის“ ღირსებას იცავს. აქამდე „პორტუში“ მოთამაშე ფეხბურთელი სტამბოლურმა კლუბმა სეზონის დაწყების წინ ჩაიგდო ხელში. „გალაში“ ახალი მისული ჟარდელი მყის ევროპის სუპერთასს დაეპატრონა, თუმცა ბრაზილიელი ამაზე შეჩერებას არ აპირებს.***

***მას დიდი მიზნები ჰქონია, განსაკუთრებით კი ეროვნულ გუნდში თამაში სწადია.***



მან საფრანგეთის ნაკრები 38 წლისამ ჩაიბარა და სადებიუტო მატჩში ლიტვას აჯობა (87:74) 1995 წლის 8 ოქტომბერს. იქიდან მოყოლებული, „ლურჯებმა“ 93 შეხვედრა გამართეს ჟან-პიერ დე ვინჩენცის ხელმძღვანელობით და 56 მათგანში იმარჯვეს. თუმცა ამ პერიოდში ფრანგები ტიტულთა სიუხვით ვერ დაიკვეხნიან. მათი საუკეთესო შედეგი, ოლიმპიადას თუ არ ჩავთვლით, შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე დაკავებული მეოთხე ადგილია.

საფრანგეთის ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა ხვალ გაირკვევა. თუმც თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ როგორც ჟაკე შეცვალა თავისმა თანაშემწე როჟე ლემერმა, ისევე დე ვინჩენცის ადგილს ალენ ვეისი დაიკავებს. ვეისს ნაკრებში მისვლამდე „სო“ და „ლე მანი“ გაუწვრთნია, ხვალიდან კი, ალბათ, „ლურჯებს“ ჩაიბარებს ოთხი წლით. „ვეისს ფედერაციასთან კონტრაქტი აკავშირებს და ნაკრების მწვრთნელობის უპირველესი კანდიდატიც სწორედ ისაა“ — განაცხადა მენინიმ, რომელმაც იქვე დაამატა, რომ თავად დე ვინჩენცი, ფრიად მოსალოდნელია, მის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტიც გახდეს.

ეს თუ მართლა ასე მოხდა, მაშინ ერთგვარად ისტორია განმეორდება. 1948 წლის ოლიმპიადაზე ვერცხლის მომგები ნაკრების მთავარი მწვრთნელი რობერ ბიუსნელი ხომ საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციას 1966 წლიდან 1980 წლამდე ხელმძღვანელობდა. თუმცა ისტორიის განმეორებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, რადგან 9 დეკემბრისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნებზე მენინის თავისი თავის მემკვიდრეობაში, ალბათ, ვერავინ შეეცილება

**გაიოზ თალაკვაძე**



ჟან-პიერ დე ვინჩენცი

# ფულის ტომარას გაჭრიან

**გუშინწინ**, 11 ოქტომბერს, „მაიამი ჰითის“ მთავარმა მწვრთნელმა და ამავდროულად კლუბის პრეზიდენტმა პატ რაილიმ პრესკონფერენცია გამართა. მართალია, ახალ სეზონს „ჰითი“ გვარიანად მოღონიერებული, განახლებული შემადგენლობით ხვდება, მაგრამ პრესკონფერენციაზე შეკრებილ მასმედიის ათეულობით წარმომადგენელს სულ სხვა რამ აინტერესებდა — რა მდგომარეობაშია გუნდის ლიდერის, ალონზო მურნინგის ჯანმრთელობა. რაილი არცთუ კარგ ხასიათზე დახვდა ჟურნალისტებს. ჭმუნვის მიზეზიც ნათელია, მურინიგის კარიერას დიდი საფრთხე ემუქრება.

„მაიამი ჰითისთვის“ და მისი 208-სანტიმეტრიანი ცენტრისთვის ავად გათენდა სამი ოქტომბერი. მეორე დღეს „მაიამის“ საწვრთნელი ბანაკი იხსნებოდა და კალათბურთელები ჯანმრთელობის ტესტებს აბარებდნენ. სწორედ მაშინ აღმოჩნდა, რომ მურნინგს თირკმელის ფუნქციონალური დარღვევა აქვს, ორგანო ცუდად ასრულებს თავის მოვალეობას. მურნინგი თირკმელს ნაში თამაშის დროს არასდროს შეუწუხებია და არავინ იცოდა, რომ კალათბურთელის ვეება სხეულში დაავადება დაბუდებულიყო. მხოლოდ მოთამაშის დედინაცვალმა, ფანი თრითმა თქვა, ალონზოს ბავშვობაში თირკმელი ოდნავ აწუხებდაო.

დარღვევის აღმოჩენის შემდეგ მურინგი რამდენჯერმე საფუძვლიანად გასინჯეს. ექიმებს საბოლოო დიაგნოზი ჯერ არ დაუსვამთ, მაგრამ წინასწარმა გამოკვლევებმა ფაქტობრივად განაჩენი გამოუტანა კალათბურთელს. არაა გამორიცხული, მურნინგს თირკმელის გადანერგვა დასჭირდეს, მაშინ, როცა ყველა იმედოვნებდა, რომ იგი იოლად, პროფილაქტიკური ოპერაციით დაძლევდა ავადმყოფობას. კლუბი ცდილობდა, საგულდაგულოდ დაემალა ეს ამბავი, მაგრამ როდესაც რაილის პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, დასჭირდება თუ არა „ზოს“ თირკმელის გადანერგვაო, აღელვებულმა მწვრთნელმა, გთხოვთ, ნუღარ მკითხავთ, მიჭირს იმ შედეგების გააზრება, რომელიც ამას მოჰყვებაო და პრესკონფერენციაც დაამთავრა.

ალონზო მურნინგს დაახლოებით იგივე სჭირს, რაც ამ ერთი წლის წინ სანანტონიოელ შონ ელიოტს აწუხებდა. ელიოტმაც ამგვარივე ოპერაცია გაიკეთა და მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ შეძლო მოედანზე გასვლა, თუმც ძველი ფორმა ვერაფრით დაიბრუნა. მანამდე ჩემპიონი „სან ანტონიოს“ წლევანდელ პლეი ოფში უსახური თამაშის ერთ-ერთი მიზეზიც ეს გახლდათ. თავისთავად მურნინგი „მაიამისთვის“ გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ელიოტი თავისი გუნდისთვის. „ზო“ „ჰითის“ ლიდერია, მართალი რომ ვთქვათ, ამ გუნდის თამაში საერთოდაც მასზეა აწყობილი. ბოლო ორი სეზონის საუკეთესო დამცველის არყოფნა გვარიანად დასწევს უკან „მაიამის“, რომელსაც ამ სეზონში ისეთი სერიოზული მიზანი დაუსახავს, როგორიც ჩემპიონობაა.

თავად მურნირგი ახლა დეპრესიაშია, 3 ოქტომბრის შემდეგ არავის ენახვება. მხოლოდ ერთხელ ერთი საათით მივიდა გუნდის ვარჯიშზე. არავის ელაპარაკება ტელეფონითაც კი. მხოლოდ დედინაცვალს დაურეკა და უთხრა: „დედა, ძალიან ცუდი რამ მჭირს“.

შეშფოთებულები არიან მისი თანაგუნდელებიც. განსაკუთრებით მისი ახლო მეგობარი ტიმ ჰარდევეი, რომელთან ერთადაც მურნინგმა სიდნეის ოლიმპიადიდან ოლიმპიური ოქრო ჩამოიტანა. ჰარდევეიც პესიმისტურადაა განწყობილი. „იცით, რას გეტყვით, ეს ის შემთხვევაა, როცა ფული ყველაფერს არ წყვეტს — ამბობს იგი — როცა ალონზოს ან მის მსგავსს შეხედავს, ბევრი იტყვის, აი, ფულის ტომარა, რომელსაც ცხოვრებაში ყველაფერი აქვს — სახლი, რომელშიც მილიონი მისცა, მანქანები, ფუფუნება, ერთი სიტყვით, ბედნიერია, მაგრამ ახლა ეს ხომ არაფერს ნიშნავს. ზო ნამდვილად არაა ბედნიერი. ფული ხშირად არ არის ბედნიერების ერთადერთი წინაპირობა“.

**ირაკლი ფირაშვილი**

### საგამოფენო მატჩები

11 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ჰოსტონი | 80:116 | მილუოკი |
| ნიუ ჯერსი | 88:82 | მაიამი |
| ინდიანა | 91:83 | მინესოტა |
| ჩიკაგო | 83:79 | დენვერი |
| ლეიკერსი | 90:103 | შარლოტი |
| ფინიქსი | 68:77 | კლიპერსი |
| საკრამენტო | 107:83 | იუტა |


იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
მოლურჯებული ბინა სარაჯიშვილის
მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით



ტელ: 60-21-23

# დანილოვიჩი უცნაურად წავიდა
## გაოგნებული ბოლონიის ბოლო ოვაცია

**ჯერ** კიდევ აპრილში ალაპარაკდნენ, პრედრაგ დანილოვიჩი კალათბურთიდან მიდისო. მაშინ კალათბურთელმა არც დაადასტურა და არც უარყო ეს ხმები, თუმცა ერთი რამ გადაჭრით თქვა: ამ წლის ბოლომდე სერიოზულს არაფერს ვაპირებ და იქამდე ნაღდად ვითამაშებო. ეს ამბავი მალე დაივიწყეს, რადგან დანილოვიჩს კალათბურთთან გამოთხოვების საბაბი არ ჰქონდა — 30 წლის ჯან-ღონით სავსე, ტრავმებით ნაკლებშეჭირვებულმა და უმაღლესი დონის სპორტსმენმა წესით კიდევ დიდხანს უნდა ითამაშოს.

ივნისში დანილოვიჩს ბოლონიის „კინდერთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა. კალათბურთელი სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა და ახალი ხელშეკრულებისთვის ვერ მოიცალა. ჩამოვალ სიდნეიდან და კონტრაქტზე მერე ვილაპარაკოთო, უთხრა „კინდერის“ ხელმძღვანელობას. ოლიმპიადაზე იუგოსლავიის ნაკრები მეოთხედფინალში გავარდა, დანილოვიჩი ბოლონიას დაუბრუნდა და „კინდერის“ მფლობელ მარკო მადრიგალის შეხვდა...

ამ შეხვედრის შესახებ ოფიციალურად არავის არაფერი უთქვამს. ჭორი კი აგორდა — დანილოვიჩი კალათბურთს ეთხოვებაო. 11 ოქტომბრის დილას პრედრაგს იტალიელი ჟურნალისტები დაუკავშირდნენ და პასუხად ეს მოისმინეს: „დიახ, კალათბურთს თავს ვანებებ. გადაწყვეტილება საბოლოოა და ამას დღეს საღამოს ოფიციალურად განვაცხადებ“.

საღამოს კი „კინდერის“ პრეზენტაცია იყო. „პალაგუტის“ დარბაზში გუნდი ახალი სეზონის დაწყების წინ გულშემატკივრებს შეხვდა. დანილოვიჩი პრეზენტაციაზე მივიდა და სიტყვა ითხოვა.

„დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია. გმადლობთ და ნახვამდის“ — იუგოსლაველი კალათბურთელის ამ სიტყვებს გულშემატკივრებით სავსე დარბაზი ჯერ დრტვინვით შეხვდა, ხოლო რამდენიმე წამში უკმაყოფილება ხანგრძლივ ოვაციაში გადაიზარდა.

ეს იყო კალათბურთელ პრედრაგ დანილოვიჩისთვის გამართული ბოლო ოვაცია. ამგვარი რამ მას თავის შესანიშნავ კარიერაში მრავლად უნახავს. კალათბურთთან ნაადრევი გამოთხოვების მიუხედავად, დანილოვიჩმა ძალიან ბევრი მოასწრო, ძალიან ბევრი მოიგო და ოლიმპიური ჩემპიონობის გარდა ყველა პირადი თუ გუნდური ტიტული დაისაკუთრა.

დანილოვიჩი ბოსნიელი სერბია, ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში დაბადებული და გაზრდილი. 16 წლისა მაშინ ერთიანი იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში გადასახლდა და „პარტიზანში“ ჩაირიცხა. აგრესიულობით ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა და ერთ-ერთ მატჩში ჩხუბი ატეხა. ამისთვის იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციამ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა. დანილოვიჩს დრო არ დაუკარგავს — ის ერთი წელიწადი ამერიკის ერთ-ერთ კოლეჯში გაატარა და 1988 წელს „პარტიზანს“ დაუბრუნდა. მალე ყმაწვილი იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელებმაც შეამჩნიეს და 1989 წელს ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანეს. აქ მიაღწია დანილოვიჩმა პირველ სერიოზულ წარმატებას, თანაგუნდელებთან ერთად კონტინენტის ჩემპიონი გახდა, ხოლო სპეციალისტებმა და გულშემატკივრებმა აღიარეს, რომ იუგოსლავიურ კალათბურთში უბრწყინვალესი თაობა მოვიდა. გავიხსენოთ? დრაჟენ პეტროვიჩი, ვლადე დივაცი, ტონი კუკოჩი, დინო რაჯა, ჟარკო პასპალი, სტოიან ვრანკოვიჩი, იურე ზდოვცი...პრედრაგ დანილოვიჩი იუგოსლავიის ნაკრებში ასაკით ყველაზე პატარა იყო, მაგრამ ტრიუმფში სხვებზე ნაკლები წილი როდი დაიდო.

1990 წლის ჩემპიონატზე დანილოვიჩი ნაკრებში ვერ მოხვდა, მისი ადგილი მაშინ 29 წლის ვეტერანმა კალათბურთელმა, ორი წლის შემდეგ კი „პარტიზანის“ მთავარ მწვრთნელად ქცეულმა ჟელკო ობრადოვიჩმა დაიკავა. მომდევნო ევროპის ჩემპიონატზე (1991, რომი) დანილოვიჩი ნაკრებში დაბრუნდა და ჩემპიონი გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც მოგვევლინა.

დანილოვიჩს ოთხი წელიწადი დასჭირდა მორიგი სანაკრებო ტიტულის მოხვეჭამდე. შეგახსენებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იუგოსლავიას სანქციები დაადო, რის გამოც ამ ქვეყნის სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელიდან მოიკვეთნენ. ასე გამოტოვეს იუგოსლაველმა კალათბურთელებმა თითო ოლიმპიადა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები. დაბრუნება 1995 წელს, ათენში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოხდა. იუგოსლავიის შესანიშნავი ნაკრები ჩემპიონი გახდა, ხოლო იმ წელს დანილოვიჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.



### პრედრაგ დანილოვიჩი

დაიბადა 1970 წელს სარაევოში (ბოსნია)
სიმაღლე: 200 სმ
ამპლუა: მსროლელი-ფრთა
კარიერა
1986-1992: პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია)
1992-1995: კინდერი (ბოლონია, იტალია)
1995-1996: მაიამი ჰითი (აშშ)
1996-1997: დალას მავერიქსი (აშშ)
1997-2000: კინდერი (ბოლონია, იტალია)
1988-2000: იუგოსლავიის ნაკრები
ტიტულები
იუგოსლავიის ორგზის ჩემპიონი (1989, 1992)
იტალიის ოთხგზის ჩემპიონი (1993, 1994, 1995, 1998)
იტალიის თასის მფლობელი (1999)
ევროლიგის ორგზის ჩემპიონი (1992, 1998)
ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1989, 1991, 1995, 1997)
ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი (1999)
მსოფლიოს ჩემპიონი (1998)
ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი (1996, ატლანტა)
ევროპის ორგზის საუკეთესო კალათბურთელი (1995, 1997)

მანამდე კი, 1992 წელს ჟელკო ობრადოვიჩის გაწვრთნილმა „პარტიზანმა“ ევროლიგა მოიგო. ახალბედა მწვრთნელმა გუნდი გადაახალისა და ლიდერობა ორ ყმაწვილკაცს, 21 წლის დანილოვიჩს და 22 წლის ალექსანდრ ჯორჯევიჩს მიანდო. ევროლიგის ფინალში „პარტიზანმა“ 71:70 დაამარცხა „ბარსელონა“, დანილოვიჩმა 25 ქულა გააკეთა, ჯორჯევიჩმა — 23.

იმავე წელს დანილოვიჩი ბოლონიის „კინდერში“ პირველად გადავიდა. იუგოსლაველი იქაც წამყვანი მოთამაშე გახდა და ზედიზედ სამჯერ მოაპოვებინა გუნდს ქვეყნის ჩემპიონობა. 1995 წელს დანილოვიჩს ევროპული მასშტაბები ეცოტავა და პლანეტის უძლიერეს ლიგაში, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში წავიდა სათამაშოდ. აღსანიშნავია, რომ პრედრაგი ჯერ კიდევ 1992 წლის დრაფტში 43-ე ნომრად აიყვანა „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა“, ოღონდ კონტრაქტი არ გაუფორმა. მოგვიანებით „მაიამი ჰითმა“ შეისყიდა უფლებები დანილოვიჩზე და 1995-1996 წლების სეზონის წინ შემადგენლობაშიც ჩარიცხა. იუგოსლაველი ორი წელი იყო ნბა-ში (მეორე სეზონი „დალას მავერიქსში“ გაატარა) და თავი არ შეურცხვენია — უმეტესად სასტარტო ხუთეულში ხვდებოდა. დღეს თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ დანილოვიჩი ნბა-ში ნათამაშევ ევროპელთაგან ერთ-ერთი ყველაზე თავგამოჩენილია.

1997 წელს დანილოვიჩი მეორედ გადავიდა „კინდერში“ და იმავე სეზონში ბოლონიური გუნდი ისტორიაში უდიდეს ტიტულამდე მიიყვანა — ევროლიგა მოაგებინა. პრედრაგის გარეშე „კინდერის“ წარმოდგენა შეუძლებელი იყო — იგი გუნდის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა.

1996 წელს, ატლანტის ოლიმპიადაზე საშუალება მომეცა, დანილოვიჩი პირადად გამეცნო და მისი მონაწილეობით რამდენიმე თამაში მენახა. ურთიერთობისას პრედრაგი ძირითადად მშვიდი, ოღონდ მალე ფეთქებადი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იუმორთან არცთუ მწყრალად იყო, თუმცა თანაგუნდელები მის მძიმე ხასიათსაც აღნიშნავდნენ. მოედანზე კი დანილოვიჩი პრაგმატულობის განსახიერება გახლდათ. ერთნაირად ძლიერი იყო შეტევაშიც და დაცვაშიც. ფიზიკურად გამძლეს იოლად შეეძლო თამაშის რიტმის ცვლა და შენელებული მოძრაობიდან თითქმის რეაქტიულ სიჩქარეზე შეუმჩნევლად გადადიოდა. დიდებულად თამაშობდა უბურთოდ და ნებისმიერ მომენტში შეეძლო გახსნა. მძლავრი ნახტომის წყალობით არაერთ შეტევას ეფექტურად, ჩატენვით ასრულებდა. დაცვაში დანილოვიჩი სისწრაფის ხარჯზე ჩაგრავდა მეტოქის უკანახაზელებს, ხოლო ფორვარდების წინააღმდეგ სწორი პოზიციური თამაშით და ჯანით გადიოდა ფონს.

აი, ამგვარი დანილოვიჩი ვიხილე ატლანტის ოლიმპიადაზე. იქვე, ტურნირის დამთავრების შემდეგ, იუგოსლაველმა ჟურნალისტებმა თავიანთი ნაკრების საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენი გამოკითხვა მოაწყვეს და აზრს მეც დამეკითხნენ. მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიის ნაკრებში ბევრი შესანიშნავი კალათბურთელი თამაშობდა, პირველობა თითქმის დაუფიქრებლად დანილოვიჩს მივაკუთვნე. ჩემს მოკრძალებულ აზრს ახლაც შემოგთავაზებთ — ევროპელ კალათბურთელებში სრულყოფილ უნივერსალიზმთან ყველაზე ახლოს დანილოვიჩი იმყოფება. სხვათა შორის, დანილოვიჩმა თავისი აგრესიულობა და ფეთქებადობა ოლიმპიადის ფინალშიც გამოავლინა, როცა ერთ-ერთ მომენტში კამათისას მკერდში თავური აძგერა ამერიკის ნაკრების წევრს, ნბა-ს ვარსკვლავს რეჯი მილერს. ნუ დავივიწყებთ, რომ ის მატჩი ამერიკაში, 25 ათასი ამერიკელის თვალწინ მიმდინარეობდა.

ზეგ იტალიის ჩემპიონატი იწყება, ერთ კვირაში — ევროლიგა. „კინდერი“ ორივეგან ასპარეზობს და მხოლოდ მოგებას ისახავს მიზნად. ასეთ დროს დანილოვიჩის გამოკლება მისთვის მიწისძვრის ტოლფასია. იუგოსლაველმა კალათბურთიდან წასვლის მიზეზად მხოლოდ ის დაასახელა, რაც ამ წერილის დასაწყისშია აღნიშნული. ჭორები კი მრავლადაა — დანილოვიჩი კონტრაქტის პირობებმა არ დააკმაყოფილაო; დანილოვიჩმა კლუბის ახალ პატრონებთან საერთო ვერ გამონახაო... ეს ვერსიები ნაკლებსავარაუდოა, რადგან ევროპის ნებისმიერი გუნდი პრედრაგის დარ კალათბურთელს ულაპარაკოდ მიიღებს და მაქსიმალურ გასამრჯელოსაც შესთავაზებს.

დანილოვიჩის კალათბურთიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება მხოლოდ „კინდერის“ მთავარმა მწვრთნელმა კარლო რეკალკატიმ გააკეთა: „თავზარდაცემული ვარ. თავიდან ყველაფერი ჭორი მეგონა, მაგრამ, სამწუხაროდ, სიმართლე აღმოჩნდა. არც კი ვიცი, რა ვთქვა. პრედრაგი ახალგაზრდაა და საუკეთესო ფორმაშია. საცოდაობაა, როცა ამგვარი კალათბურთელი მიდის. ეს ნიშნავს, რომ „კინდერის“ გულშემატკივრები, ევროპელი მაყურებლები დაკარგავენ უდიდესი მოთამაშის მოედანზე ხილვის შანსს. დანილოვიჩი ოცი წლის იყო, პირველად რომ ვნახე. იგი პირადად მეც დამაკლდება და „კინდერსაც“. გონიერი კაცია და დაუფიქრებელ ნაბიჯს არ გადადგამდა. თუკი პრედრაგი თავის გადაწყვეტილებით კმაყოფილია, მაშინ, ნება მომეცით, მისი კმაყოფილება მეც გავიზიარო“.

კალათბურთიდან წასვლამდე ერთი დღით ადრე პრედრაგ დანილოვიჩი მშობლიური კლუბის, ბელგრადის „პარტიზანის“ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს...

**მერაბ რატიშვილი**

---

**თურქეთი**

პრეზიდენტის თასი

# უფაჩულიოდ ულქერმა თურქჯანიან ეფესს თასი დაუთმო

**ეფესი 66:65 ულქერი**

**ეფესი:** მულაომეროვიჩი (7), ონანი (4), შჩეპანოვიჩი (6), ვექილოღლუ, თუნჩერი (11), ილმაზი (3), ბეშოქი (22), ოქური (4), დრობნიაკი (4), პეკერი (5)
**ულქერი:** ლოლისი (16), გონლუმი (6), აჩიკი (4), გოლიოვიჩი, ერდენაი (9), გიულერი (2), ერდოგანი (5), ჰენდლოგტენი (19), ილდირიმი (3), სარიჯა (1)

„თურქეთის პრეზიდენტის თასი“ ქვეყნის სუპერთასი გახლავთ, სადაც ერთმანეთს წინა სეზონის ჩემპიონი და თასის მფლობელი ხვდებიან. პარადოქსია, მაგრამ ანკარაში გამართული მატჩის მონაწილეთაგან არცერთი იყო არც ჩემპიონი და არც თასის მფლობელი. „ეფესმა“ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო „ულქერი“ თასის ფინალში გავიდა. წინა სეზონში ორივე თურქული ტიტული ბურსას „თოფაშმა“ მოიგო. ეს გუნდი, მოგეხსენებათ, დაიშალა, ამიტომაც „პრეზიდენტის თასს“ სხვადასხვა ტურნირებში მისგან ძლეული გუნდები შეეცილნენ ერთმანეთს.

მეტოქეებმა განაცხადში ათ-ათი მოთამაშე შეიყვანეს. ალბათ ამის გამო „ულქერში“ არ მოიძებნა საქართველოს ნაკრების 16 წლის ფორვარდ-ცენტრის ზაზა ფაჩულიას ადგილი. ზაზას გარდა განაცხადში არ ყოფილა „ულქერის“ ფრანგი ახალწვეული, ცენტრი, 29 წლის ჟან-გაელ პერსევო.

„ეფესი“ რამდენიმე დღის წინ მნიშვნელოვნად გაძლიერდა — გუნდს დაუბრუნდა ფორვარდი მირსად თურქჯანი, რომელმაც წინა სეზონი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდებში — „ნიუ იორკ ნიქსში“ და „მილუოკი ბაქსში“ გაატარა. უცნობ მიზეზთა გამო, თურქჯანს „პრეზიდენტის თასზე“ თავის გუნდში არ უთამაშია.

თამაში ორმხრივი შეცდომებით, თუმცა ერთობ დაძაბულად მიმდინარეობდა. საფუძვლიანად დაწინაურებას ვერცერთი გუნდი ახერხებდა. ტაიმი „ეფესმა“ 38:37 მოიგო, მის რიგებში კი ცენტრი ჰუსეინ ბეშოქი გამოირჩეოდა. ულქერელთა ამერიკელი ცენტრი ბენჯამინ ჰენდლოგტენი შეტევაში კარგი კი იყო, მაგრამ დაცვაში ვერაფერს უხერხებდა ბეშოქს. თამაში არ წაუვიდა „ულქერის“ იუგოსლაველ ახალწვეულს, ფორვარდ მილან გოლიოვიჩს — შარშანდელი ევროლიგის საუკეთესო ბომბარდირმა მატჩი უქულოდ ჩაამთავრა.

მეოთხე მეოთხედის მიწურულს „ეფესი“ შვიდი ქულით დაწინაურდა, მაგრამ ჰენდლოგტენმა სხვაობის ერთ ქულამდე შემცირება მოახერხა. დამთავრებამდე ათი წამით ადრე „ეფესის“ ხორვატმა გამთამაშებელმა დამირ მულაომეროვიჩმა ლამის საბედისწერო შეცდომა დაუშვა — პასი პირადპირ მეტოქეს მიართვა. ულქერელებმა ვერ შეიშნოვეს საჩუქარი — ჯერ გარღვევაზე გასულმა ჰარუნ ერდენაიმ ააცილა, დამატებისას კი ჰენდლოგტენმა ვერ იყოჩაღა. „ულქერს“ მოგების კიდევ ერთი შანსი მიეცა, მაგრამ ტუტკუ აჩიკმა სირენისთანავე ნასროლი სამქულიანი ვერ ჩააგდო.

### პრეზიდენტის თასის ყველა მფლობელი

| | |
|---|---|
| 1985 | გალათასარაი |
| 1986 | ეფესი |
| 1987 | ქარშიაქა |
| 1988 | ეჯზაჯიბაში |
| 1989 | ჩუქუროვასფორი |
| 1990 | ფენერბაჰჩე |
| 1991 | ფენერბაჰჩე |
| 1992 | ეფესი |
| 1993 | ეფესი |
| 1994 | ფენერბაჰჩე |
| 1995 | ულქერი |
| 1996 | ეფესი |
| 1997 | ტელეკომი |
| 1998 | ეფესი |
| 1999 | თოფაში |
| 2000 | ეფესი |

ძიუდოისტებს ოლიმპიადაზე ღარიბი შემოდგომა დაუდგათ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი სიდნეიში წასვლამდე ორ მედალს გეგმავდა, თუმც სამზე (მათ შორის ერთ ოქროზე) ოცნებობდა. ავსტრალიიდან კი ოდენ კინკილა ბრინჯაოთი დაბრუნდა. ამ შედეგზე ხაბარელი პასუხს ალბათ ოლიმპიურ კომიტეტში ან სპორტის დეპარტამენტში აგებს, მანამდე კი „სარბიელის“ კითხვებს უპასუხებს

# შოთა ხაბარელი: უსამართლობამ მე კი არა, იამასიტა გაიყვანა ტატამზე



შოთა ხაბარელი ორწლიან დისკვალიფიკაციას გადაურჩა

**— ბატონო შოთა, კმაყოფილი ბრძანდებით სიდნეიში ნაჩვენები შედეგით?**

— ბიჭების ჭიდაობით კმაყოფილი ვარ, ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შედეგით — არა. ოლიმპიადაზე ყველაფერი გამოჩნდა. ჩვენები კარგად იყვნენ მომზადებულნი, მაგრამ მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა — მსაჯების არაობიექტურობა. ძიუდოისტები სწორედ ამან დაგვიზარალა. ეს მხოლოდ რევაზიშვილს არ ეხება, რომელიც უნებლიედ დაშვებულ შეცდომას შეეწირა. ხერგიანსა და ჯიქურაულს კი მედლები წაართვეს. ვაზაგაშვილიც უფრო მაღალი ხარისხის მედალს იმსახურებდა, მაგრამ იტალიელ ჯოვინაცოსთან ალალად წააგო. მას ძლიერი მეტოქეები შეხვდნენ — სულ ტიტულიანი ბიჭები, მაგრამ ყველას მოუგო. ჯოვინაცომდე დიდი ბრძოლა გადახდა მისთვის უხერხულ მეტოქესთან, პორტუგალიელ პედრო კარავანასთან. მანამდე იტალიელმა სულ რაღაც ერთ წუთში დაამარცხა თავისი მეტოქე. ამიტომ დასვენებაც უფრო მოასწრო, გიორგის კი კარავანას მერე დაახლოებით 5 წუთში გამოუძახეს მასთან საჭიდაოდ. ვფიქრობ, წაგების მიზეზიც ეს იყო. ვაზაგაშვილს მსაჯებმა მესამე ადგილისთვის შეხვედრაში დაჩაგვრა მოუნდომეს, როცა მისი ილეთი მეტოქეს ჩაუთვალეს, ორი ნამდვილი იპონი არ მისცეს, მაგრამ მაინც მოიგო. ჯიქურაულმაც ბრწყინვალედ დაამარცხა ჯერ ჩინელი მეტოქე, მერე რადუ და სოლემანსი და კანადელ ჟილს დაუპირისპირდა. აქ უკვე წინასწარ ვიცოდით, რომ წავაგებდით. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე კანადელია, რომელმაც ტატამზე თვისტომი მსაჯები შეუშვა. ეს ჩაწყობილი შეხვედრა იყო, რომელშიც წარმოუდგენელი უნამუსობით მოექცნენ ივერის. ეს რომ არა, იგი მედალს აიღებდა. საამისოდ მზად იყო და ჟილის მერე არცთუ ძლიერი მეტოქე ელოდა. დავითაშვილი კიდევ მისთვის უხერხულ მეტოქეს — თურქ სელიმ თათაროღლუს ხვდებოდა და ყველაფერი რომ მეფიქრა, მასთან მოგებას ვერ წარმოვიდგენდი. სასწაული რომ მომხდარიყო და მას გასცდენოდა, მერეც უძლიერეს მეტოქეებს ხვდებოდა მომავალი ჩემპიონის, ფრანგი დუიეს ჩათვლით. ასე დაწვრილებით იმიტომ გიყვებით, რომ ბიჭები მართლა კარგად იყვნენ მომზადებულები. ცალკე საუბრის თემაა გუგავა, რომელიც აწონვაზე მიმავალი კინაღამ ხელში ჩაგვაკვდა, გულმა შეაწუხა. არც მინდოდა, მეჭიდავებინა, მაგრამ თვითონ მთხოვა, იქნებ მდგომარეობიდან გამოვიდეო. მეც ხათრი ვერ გავუტეხე.

**— მსაჯების მიკერძოება, რატომ არ გააპროტესტეთ?**

— ძიუდოში გაპროტესტება არ ხდება, თუმცა მსაჯები კი ისჯებიან. მაგალითისთვის, სამივე არბიტრს, რომლებმაც ჯიქურაულის ჭიდაობა განსაჯეს, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და „ა“ კატეგორია „ბ“-მდე ჩამოუქვეითეს, რაც ნიშნავს, რომ ორ წელიწადს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იმსაჯებენ. შესაბამისი დოკუმენტი ფედერაციაში მალე მოგვივა, მაგრამ ჩვენ რა? ძიუდოში დაფიქსირებული შედეგი არ იცვლება.

**— არც ისეთი მექანიზმია შემუშავებული, რომელიც დაინტერესებულ მსაჯთა გამწესებას გამორიცხავს, როგორც ეს ფეხბურთში ხდება?**

— სამწუხაროდ, არა. იაპონელები სასტიკად ეწინააღმდეგებიან ამას და საერთოდ, ყოველგვარ პროტესტს. მაგრამ სიდნეიში მსაჯებმა ისინიც გვარიანად აზარალეს. მძიმე წონის ფინალში სწორედ მათი შინიჩი შინოჰარა დაჩაგრეს. ფრანგ დუიეს ისე ემხრობოდნენ, იაპონელთა მწვრთნელი იამასიტა ჩემსავით ტატამზე შევარდა. ახლა მათაც დაიწყეს ლაპარაკი საპროტესტო კომისიის შექმნაზე.

**— ტატამზე შესვლის ეპიზოდს, რისთვისაც ლამის დისკვალიფიკაციით დაისაჯეთ, თავისთავად მივადექით...**

— მოთმინებიდან გამომიყვანეს მსაჯებმა, ნერვები მომიშალეს. ეს ვაზაგაშვილისა და ვან კალკენის შეხვედრისას მოხდა, როცა ბრინჯაოსთვის ჭიდაობდნენ. გიორგის გდება არ ჩაუთვალეს და მაშინ შევვარდი ტატამზე. ამის უფლება არ მქონდა, მაგრამ პროტესტი რომ ასე მძაფრად არ გამომეხატა, ვაზაგაშვილს საბოლოოდ დაჩაგრავდნენ. ამისთვის ორწლიან დისკვალიფიკაციით მსჯიდნენ, მაგრამ დამინდეს და ერთი დღე მაკმარეს.

**— თქვენი აზრით, ხელმძღვანელობა სიდნეის შედეგს წარუმატებლობად ჩაგითვლით, თუ...**

— დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები ჩვენს ჭიდაობას უცქერდნენ. მათ ნახეს, როგორი ბრძოლა გვიწევს. წარუმატებლობა იყო თუ რა, ამას ფედერაციისა და დეპარტამენტის კოლეგია განსჯის.

**— ბედის ირონიაა, რომ ეს ერთი მედალიც იმ სპორტსმენმა მოიპოვა, რომელსაც ცოტა ხნის წინ ნაკრებიდან აგდებდით, როგორც მეამბოხეს და დაუმორჩილებელს მაშინ გიორგი ვაზაგაშვილი სასურველი წონისთვის ედავებოდა რევაზიშვილს.**

— ასე არ ყოფილა. ვაზაგაშვილს არასოდეს ვაგდებდი ნაკრებიდან. პირიქით, ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი მის საზღვარგარეთ წასვლას. მსგავსი რამ ყოველთვის შეიძლება მოხდეს, როცა სპორტსმენი თვლის, რომ მწვრთნელი მასთან ტყუის. ამ ოთხ წელიწადში რა გადაწყვეტილებაც მივიღე, ყველაფერმა გაამართლა. 66-ში დავაყენე ვაზაგაშვილი და ევროპის ჩემპიონი გახდა. 73-ში გადავიყვანე რევაზიშვილი და მსოფლიოს მესამე პრიზიორობა და ლიცენზია მოიპოვა. საბედნიეროდ, დღეს მათ შორის უთანხმოება აღმოიფხვრა და ისინი კარგი მეგობრები არიან.

**— სიდნეი უკვე წარსულია, წინ კი ათენია...**

— ნაკრების წევრები ახალგაზრდები არიან და მათ ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლა თავისუფლად შეუძლიათ, მაგრამ ყველას ძლიერი კონკურენტეც ჰყავს ახალგაზრდების სახით. არ გამოვრიცხავ, რომ 2004 წლისთვის ზოგიერთმა ნაკრებში ადგილიც დაკარგოს.

**ირაკლი თავაძე**



ქართველ ძიუდოისტთაგან სიდნეის ოლიმპიადაზე ერთადერთი მედალი გიორგი ვაზაგაშვილმა (მუქ კიმონოში) ჰოლანდიელი ვან კალკენის ძლევით მოიპოვა



# ოქრო-ვერცხლი დობილებმა გაინაწილეს



მერი ჰოლდენი

**საფრანგეთის** ქალაქ პლუეიში სამშაბათს საგზატკეცილო ველორბოლის მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. უკვე ჩატარდა რამდენიმე ინდივიდუალური რბოლა, რომელთაგან მხოლოდ ქალებისაზე მოგითხრობთ, დანარჩენებისას კი ოდენ შედეგებს გაგაცნობთ.

ოლიმპიური ჩემპიონის, ჰოლანდიელი ლეონტიენ ზაილაარდის არყოფნაში, რომელმაც თავისი ოთხი ოლიმპიური მედლის (სამი ოქრო და ერთი ვერცხლი) ქომაგებისთვის წარდგენა და დასვენება არჩია, მსოფლიოს ჩემპიონი სიდნეიში ვერცხლის მომპოვებელი ამერიკელი მერი ჰოლდენი გახდა.

ჰოლდენმა 25-კილომეტრიანი გზა 45,121 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიარა, რაც ძალიან კარგი შედეგია, იმის გათვალისწინებით, რომ ძლიერი პირქარი ქროდა. „ჩემპიონობა ნამდვილად მშვენიერია. ჟანი ლონგოს ზედიზედ ორჯერ დამარცხება კი ბრწყინვალე“ — თქვა ამერიკელმა. ისევე როგორც სიდნეიში, პლუეიშიც ლონგო ჰოლდენის მომდევნო ადგილზე გავიდა, ოღონდ ამჯერად ბრინჯაოს ნაცვლად ვერცხლი ერგო წილად. ისე, ამ ორი მრბოლის დუელი მეტად დაძაბული გამოდგა. ამერიკელი ყველა საშუალედო ფინიშზე პირველი იყო და ბოლო ხუთი კილომეტრის წინ 16-წამიანი უპირატესობა ჰქონდა. თუმცა გზის უკანასკნელი მონაკვეთი ფრანგმა გაცილებით უკეთ გაიარა და კინაღამ შეძლო კიდეც მეტოქის გადასწრება. საბოლოოდ ორი მანდილოსანი მხოლოდ სამმა წამმა დააშორიშორა.

„აქ ჩამოსვლას არც ვაპირებდი — განაცხადა რბოლის შემდეგ 29 წლის ჰოლდენმა — ერთი წლის მანძილზე მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებზე ვფიქრობდი და იქ მედლის მოპოვება იყო წლეულს ჩემი მთავარი მიზანი. ოლიმპიადის შემდეგ თავს დაღლილად ვგრძნობდი, მაგრამ ჟანიმ დამარწმუნა, რომ საფრანგეთშიც გამოვსულიყავი“.

ჰოლდენი და ლონგო უკვე ხუთი წელია, მეგობრები არიან და ფრანგიც კოლორადოს ხშირი სტუმარია. ახლა შეიძლება ნანობს კიდეც ლონგო, წასულიყო ჩემი მეგობარი შინ სიდნეიდან და მეც თუ მომენტარებოდა, იქით ვესტუმრებოდიო. თუმც ალბათ, ასე არაა საქმე, რადგან 41 წლის ლონგოს კარიერის მანძილზე მსოფლიოს ჩემპიონატებზე 12 ოქროს მედალი მოუხვეჭია და ეს ერთი ტიტული დიდად არ უნდა დააკლდეს.

**ინდივიდუალური რბოლები**

იუნიორები. ვაჟები. 25 კმ

1. პეტერ მაზური (პოლონეთი) — 30წთ 58წმ
2. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი) — +18წმ
3. ლუკაშ ბოდნარი (პოლონეთი) — +30

იუნიორები. გოგონები. 15 კმ

1. ჟულიეტ ვანდერკერკოვი (საფრანგეთი) — 22წთ 16 წმ
2. კეტრინ ბეიტსი (ავსტრალია) — +31
3. ბერტინ სპიკერმანი (ჰოლანდია) — +45

ახალგაზრდები. ვაჟები. 35 კმ

1. ევგენი პეტროვი (რუსეთი) — 44წთ 46წმ
2. ფაბიენ კანსელარა (შვეიცარია) — +52
3. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია) — +1წთ 19

ქალები. 25 კმ

1. მერი ჰოლდენი (აშშ) — 33წთ 14წმ
2. ჟანი ლონგო (საფრანგეთი) — +3
3. რასა პოლიკევიჩიუტე (ლიტვა) — +46

# აფერისტ! მარკო პანტანის საქმეს სასამართლოში გაურჩევენ

**იტალიელი** მრბოლი მარკო პანტანი დღეს სასამართლოს წინაშე წარსდგება. მას ბრალად „სპორტული თაღლითობა“ ედება. „ტურ დე ფრანსისა“ და „ჯიროს“ მომგებ „მეკობრეს“ ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ფორლის ტრიბუნალი გაასამართლებს ეპო-ს წინასწარგანზრახული მიღებისთვის. პანტანის ერთი თვიდან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

საქმე 1995 წელს დაიწყო, როცა მილანი-ტურინის რბოლისას პანტანი დაშავდა და საავადმყოფოში აღმოჩნდა. იქ მას ანალიზები გაუკეთეს და ჰემატოკრიტის ძალიან მაღალი დონე (60,1%) დაუდგინეს, რაც ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მიერ დაშვებულ ნორმას (50%) გვარიანად აღემატება. ამას კი ძირითადად ეპო-ს მიღება იწვევს. პანტანის უდანაშაულობა უკვე აღარავის სჯერა და ამის საფუძველიც არსებობს. ჯერ ერთი, მან შარშან ჩააფლავა დოპინგ-კონტროლი, რისთვისაც ფაქტობრივად მოგებული „ჯიროდან“ მოხსნეს და ესეც რომ არ იყოს, ეტყობა, დანაშაულის აღიარება სასჯელს შეგიმსუბუქებსო, დაარწმუნეს და მანაც საქვეყნოდ განაცხადა, ამ ხუთიოდე წლის წინ ნამდვილად ვიყენებდი ეპო-სო.

მომავალ თვეებში იტალიაში კიდევ ბევრი ასეთი სასამართლო პროცესი გაიმართება, რაც იმან გამოიწვია, რომ



მარკო პანტანი

ქვეყნის პარლამენტმა ივლისში ახალი კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც დოპინგის მიღება სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და სპორტული შეჯიბრებებში წარმატების მიღწევის მიზნით აკრძალული პრეპარატების მომხმარებლები, გადამტანები, გამომყენებლები და მათი ხელშემწყობნი ციხეს ვერ ასცდებიან.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ლოკომოტივის ვალი ფული შესატანი, ლელო გასატანი

IV წრე. II ტური
თბილისი. ვარკეთილი
12 ოქტომბერი

**ლოკომოტივი 1 — სტუ-ყოჩები 43:17 (7:3)**

ლოკომოტივი 1: მაჭუტაძე, ჯაველიძე (ჯიბლაძე), ჩადუნელი (ჭელიძე), ბურდული (ცხომელიძე), მოგელაძე, სუჯაშვილი, კახიანი, უდესიანი, სარიშვილი (ჯანაშვილი), ძნელაძე, ბუგიანიშვილი, ცხადაია, ალანია, სუთიაშვილი, ასათიანი
ნლ — უდესიანი, ბუგიანიშვილი (2), კახიანი, ასათიანი, ძნელაძე, ზ — ძნელაძე, ნგ — ძნელაძე
ყოჩები: ფირიაშვილი, ხოსროშვილი (კუკუაშვილი), თედორაძე (ჩაკვეტაძე), ხურცილავა, გუშარაშვილი, ცხვედიანი, ჭელიძე, გ. ხაბეიშვილი, ხელაძე (გიორხელიძე), ტრაპაიძე, იმნაძე, ბარძიმიშვილი (ჯანელიძე), კაჭარავა, კ. მზეიძე, იურინი
2ლ — ფირიაშვილი, ზ — იურინი, 2გ — იურინი
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: მ. კოროშინაძე

ეს მატჩი წესით და რიგით გასულ შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ მისი ჩატარება მხოლოდ გუშინ გახდა შესაძლებელი. მიზეზი ის გახლდათ, რომ „ლოკომოტივი 1"-ს ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა არ გადაეხადა. რაგბის კავშირმა რკინიგზელებს ჩემპიონატის მატჩების ჩატარება აუკრძალა და გათამაშებიდან მოკვეთითაც დაემუქრა, მაგრამ ლოკომოტივი 1-ის ხელმძღვანელობამ, ვალს აუცილებლად დავფარავთო და საქართველოს რაგბის კავშირისგან თამაშის უფლებაც მიიღო. ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მავანი იკითხავს, საუკეთესო ოთხეული უკვე ცნობილია და თავს რატომ იკლავენო. საქმე ისაა, რომ პლეი ოფამდე ორი ტურიღა დარჩა, ის გუნდებიც ცნობილია, ვინც ოლიმპიური სისტემით განაგრძობს ჩემპიონობისთვის ბრძოლას, მაგრამ გასარკვევი დარჩა პირველ-მეორე ადგილოსნების ვინაობა, უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, პირველის. ის გუნდი კი, ვინც გათამაშებაში პირველ საფეხურს დაიკავებს, ნახევარფინალურ შეხვედრას შინაურ კედლებში უმასპინძლებს. მეორეადგილოსანი მხოლოდ ნახევარფინალს ითამაშებს საკუთარ სტადიონზე. პლეი ოფის სისტემა კი ასეთია: პირველ საფეხურზე მოკალათებული გუნდი მეოთხეადგილოსანს დაუპირისპირდება, მეორე კი შესაბამისად მესამეს. თუ მეოთხე და მესამე გუნდის ვინაობა გუშინდელი მატჩის შემდეგ დღესავით ნათელია, პირველ-მეორე ადგილებს ვინ დაიკავებს, ჯერაც უცნობია. ეს „ლოკომოტივი 1"-ის და ბათუმის შორის მატჩში გაირკვევა, რომელიც კვირას გაიმართება. მანამდე რკინიგზელები მაქსიმალური შედეგის მიღწევას ცდილობენ.

გუშინდელ მატჩში „ლოკომოტივი 1" ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე. თუ პირველი ტაიმი ასე თუ ისე თანაბარ ორთაბრძოლაში გაილია, შეხვედრის მეორე ორმოცწუთეული ცალკარას დაემსგავსა.

რკინიგზელების ექვს (!) ლელოს შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონებმა მხოლოდ ორით უპასუხეს და ისიც მაშინ, როდესაც გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევდა. თუმც ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. მატჩის პირველი ნახევრის დასაწყისშივე რკინიგზელმა უდესიანმა ძალისმიერ ორთაბრძოლაში მოწინააღმდეგის მცველები აქეთ-იქით მიმოყარა და პირველი ლელო გაიტანა. ძნელაძემ გარდასახა. ამის შემდეგ „ყოჩები" თითქოს გამოფხიზლდნენ, მეტოქეს მყისვე ზუსტი საჯარიმო დარტყმითაც უპასუხეს, რომელიც რუსეთიდან მობრუნებულმა ნიკა იურინმა შეასრულა, მაგრამ პირველ ტაიმში მეტი ვერაფერი მოახერხეს. მეტოქეებმა მხოლოდ თითო-თითო სახიფათო შეტევა გაცვალეს და შესვენებაზე ამ ანგარიშით წავიდნენ. აი, მეორე ნახევარი კი მთლიანად რკინიგზელთა უპირატესობით წარიმართა. ყოჩების რბევა ბუგიანიშვილმა დაიწყო და ძნელაძემ დაასრულა. ლელოების აღწერით თავს არ შეგაწყენთ. მხოლოდ ორს გამოვარჩევთ — პირველი პრემიალური ქულის მომტანი აღმოჩნდა. შედეგიან შეტევას საფუძველი მშვენიერ ფორმაში მყოფმა კახა ალანიამ ჩაუყარა. კახამ მეტოქის იერიში ჩაშალა. მოწინააღმდეგის კარისკენ დაიძრა, გზად მეტოქის რამდენიმე მობურთალი ჩამოიტოვა, ბურთი ასათიანს გადააწოდა, მანაც უმალ ბუგიანიშვილი მოძებნა. რკინიგზელთა გარემარბმა სპრინტერული მონაცემების ხარჯზე ყოჩი იურინი დაჩაგრა და ბურთიანად მეტოქის სალელოე მოედანში გაკოტრიალდა. მერე თავი ასათიანმა გამოიჩინა, მაგრამ ეს ლელო მთლიანად ჭელიძის დამსახურება იყო. რამდენიმე წუთის წინ შეცვლაზე შესულმა ჭელიძემ ცრუ მოძრაობით მეტოქის დაცვის მთელი ხაზი მოატყუა და ასათიანს ისეთი პასი მისცა, ამ მომენტის გამოუყენებლობა საცოდაობა იქნებოდა.

**ბაჩო სვანიძე**

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 14 | 11 | 0 | 3 | 317:150 | 5 | 52 |
| ლოკომოტივი | 12 | 11 | 0 | 1 | 304:160 | 8 | 49 |
| ყოჩები | 13 | 7 | 0 | 6 | 260:289 | 2 | 30 |
| ასკ | 14 | 3 | 1 | 10 | 202:325 | 2 | 15 |
| უნივერსიტეტი | 13 | 0 | 1 | 12 | 157:324 | 0 | 2 |

*პ — პრემიალური ქულა*
*ასკ-ს დაკლებული აქვს 1 ქულა*


ყოჩები ლოკომოტიველ აკაკი მაჭუტაძეს (ბურთით) ჩაეხუტნენ

# ოკეანე სჯობს მდინარეს, კრონფელდმა თავი დაიფასა

**ახალი ზელანდიის** მორაგბეთა ნაკრების მორკინალმა ჯოშ კრონფელდმა განაცხადა, რომ ამ შემოდგომაზე „შავების" რიგებში ჩატარებული ბოლო ტესტების შემდეგ კარიერას ინგლისში გააგრძელებს.

კრონფელდმა ნაკრებიდან წასვლის შესახებ უკვე კარგა ხანია ამცნო ქვეყანას. ეს მან მაშინ გააკეთა, როცა „ოლ ბლექსის" თავკაცებმა იაპონია-საფრანგეთ-იტალიის ტურნეს შემადგენლობა დაასახელეს, რომელშიც თავად კრონფელდიც მოხვდა. ოთაგოსა და დანიდინის შერკინების მესამეხაზელმა ახალი ზელანდიის ღირსება 54-ჯერ დაიცვა, რაც მისი ამპლუის მორაგბისთვის რეკორდია. მისი სანაკრებო დებიუტი 1995 წელს შედგა კანადის წინააღმდეგ, მას შემდეგ კი კრონფელდი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მორაგბედ იქცა თავის ქვეყანაში.

„მე საერთაშორისო თამაშებში აღარ მივიღებ მონაწილეობას. ერთის მხრივ ეს ძალიან დამაკლდება, მაგრამ სამაგიეროდ, დასასვენებლად გაცილებით მეტი დრო დამრჩება. კარიერას, სავარაუდოდ, ინგლისში გავაგრძელებ, სადაც ამ სეზონის შუაში ანდა მისი დამთავრებისთანავე გადავბარგდები. „შავებს" კი აღარ გამოვადგებოდი, რადგან თანდათანობით სულ უფრო და უფრო მიჭირდა მათი ვარჯიშების გაძლება" — განაცხადა კრონფელდმა, რომელმაც გასულ შაბათს ოთაგოს პროვინციის შემადგენლობაში თამაშისას მუხლის მცირედი ტრავმა მიიღო.

ინგლისური კლუბებიდან დღეისათვის ორი აცხადებს სერიოზულ პრეტენზიას კრონფელდის დასაუფლებლად — იქაური ჩემპიონატის ლიდერი და ევროთასის პირველი ტურის მთავარი სენსაციის ავტორი (გამარჯვება ტულუზში) ლონდონის „სარასენსი" და შედარებით სუსტი „ბრისტოლი". თავად მორაგბე უპირატესობას „ბრისტოლს" ანიჭებს, რადგან ბევრი წყლის მოყვარული ყოფილა და ოკეანეს თემზა ვერ შემიცვლისო, უთქვამს. „მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა. ყველაფერი შეიძლება მოხდეს" — სულ მთლად არ გადაუწურა იმედი კრონფელდმა „სარასენსს". არადა, კრონფელდს პირველი სწორედ ლონდონური კლუბი დაუკავშირდა. „სარასენსის" მენეჯერმა, სამხრეთაფრიკელმა ფრანსუა პინარმა ახალზელანდიელს თავის გუნდში გადასვლა მაშინვე შესთავაზა, რაწამს გაიგო იგი „შავებს" ტოვებსო.


ჯოშ კრონფელდს (მარჯვნივ) შავობა ეძნელა

ასეა თუ ისე, კრონფელდის ახალ ნავსაყუდელს მალე გავიგებთ. თუმცა აქვე დავამატებდი, რომ მისი გადაყვანის მსურველ კლუბებს ორიოდ პრობლემის გადაჭრაც მოუწევთ. ჯერ ერთი, ინგლისში უცხოელთა ლიმიტია დაწესებული და თითოეულ გუნდს მხოლოდ ორი უცხოტომელის თამაშის უფლება აქვს, და მეორეც, პირველზე გაცილებით აქტუალური — კლუბების სახელფასო ფონდი შეზღუდულია (დაახლოებით 2,500 მილიონი დოლარი), ჯოშ კრონფელდი კი სეზონში დაახლოებით 280 ათას დოლარს ითხოვს, რამაც უკვე დააფრთხო მისი მსურველი მდიდარი ფრანგული კლუბები, ინგლისელები კი იმედს არ კარგავენ, რომ იგი საკუთარ თავს ცოტათი მაინც დააკლებს ფასს.

ვნახოთ, ვინ უკეთ ივაჭრებს.

**გაიოზ თალაკვაძე**



# რეინჯერსის დღეობაზე მესიემ ითამადა

11 ოქტომბერი

**რეინჯერსი — მონრეალი 3:1**

0:0 1:0 2:1

1:0 დვორჟაკი 21'13 (1); 2:0 მესიე 40'24 (1); 2:1 რივე 42'58 (1); 3:1 დვორჟაკი 51'00 (2)

მესიეს მეორედ მოსვლა ტრიუმფალური გამოდგა. ნიუ იორკში დაბრუნებულმა „რკინის მარკმა" თავის პირველივე საშინაო მატჩში 41-ე წუთზე გოლი გაიტანა.

„ძალიან ვღელავდი — მე ხომ ისევ ნიუ იორკში ვარ. მაგრამ აქ იმისთვის როდი დავბრუნდი, რომ კარიერა უფერულად ჩავამთავრო. მე კვლავ გამარჯვებები მწყურია" — მესიე მესიე არ იქნებოდა, ასეთი საბრძოლო ჟინით არ იყოს ანთებული. მისი სულისკვეთება თანაგუნდელებსაც გადაედოთ და მოდუნებული რეინჯერსიც გამოფხიზლდა. მონრეალთან შეხვედრაში კვლავ შესანიშნავად გამოიყურებოდნენ მეკარე მაკლინი და მცველები, ხოლო თავდამსხმელებმა ახალი ლიდერისა და კაპიტნის წინამძღოლობით ჩინებულად გამოიყენეს შექმნილი მომენტები და ლიგის ერთ-ერთი უძველესი გუნდის 75 წლის იუბილე მოგებით დაამშვენეს.

**დეტროიტი — ედმონტონი 3:4**

0:2 2:2 1:0

0:1 რ. სმიტი 0'40 (1); 0:2 გერინი 6'52 (2); 0:3 გერინი 25'02 (3); 1:3 დრეიპერი 28'04 (1); 2:3 მიური 29'48 (2); 2:4 უორდი 31'50 (1); 3:4 ლაპოინტი 58'31 (1)

აი, დეტროიტელებს კი სულაც არ ეზეიმებოდათ. ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს ზედიზედ მეორედ აგემა მარცხი ედმონტონმა. არადა, „წითელფრთიანებს" ძალიან უნდოდათ მოგება. ეს ხომ მათი პირველი საშინაო მატჩი იყო და გახსნის შთამბეჭდავი ცერემონიალის მონაწილე ლეგენდარული დეტროიტელების — გორდი ჰოუს, ალექს დელვეკიოსა და ტედ ლინდსეის წინაშე თავის მოწონება სურდათ. გარდა ამისა, გამოჯანმრთელებული კაპიტანი სტივ აიზერმანიც პირველად თამაშობდა სეზონში. მაგრამ სტუმრებმა, კერძოდ რაიან სმიტმა, მე-40 წამზევე დაადუმეს აზმაურებული დარბაზი. მერე კი ბილ გერინი — დუგ უეიტის კომბინაციების შემდეგ ანგარიში 0:3 გაიზარდა და დეტროიტელთა რევანშიც სამომავლოდ გადაიდო.

**მინესოტა — ფილადელფია 3:3**

1:1 1:0 1:2 0:0

0:1 პ. უაიტი 13'41 (1); 1:1 მენდრიკსონი 17'19 (1); 2:1 გაბორიკი 39'05 (2); 2:2 პ. უაიტი 45'43 (2); 3:2 უოლცი 49'12 (1); 3:3 დესჟარდენი 50'37 (3)

შვიდწლიანი შესვენების შემდეგ დიდი ჰოკეი კვლავ დაბრუნდა მინესოტაში და სანახაობას მოწყურებულ მაყურებელთა მხარდაჭერით გამხნევებულმა მასპინძლებმაც მედგარი ბრძოლა გაუმართეს „მფრინავებს". რის ვაი-ვაგლახით მოპოვებულ ქულას ფილადელფიელები მინესოტელთა ამომავალ ვარსკვლავს, მარიან გაბორიკს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ვერ მოახერხა ბოლო წამებზე მეკარე ბრაიან ბუშეს მოტყუება.

**ტორონტო — აილენდერსი 3:2**

1:0 0:2 2:0

1:0 ვოლკი 12'22 (1); 1:1 კვაშა 32'40 (1); 1:2 ჩერკავსკი 33'38 (1); 2:2 ბერეზინი 43'44 (2); 3:2 სუნდინი 54'15 (1)

**ლოს ანჯელესი — სენტ ლუისი 4:4**

1:0 3:0 0:4 0:0

1:0 შნაიდერი 17'50 (2); 2:0 სმოლინსკი 25'23 (1); 3:0 რობიტაილი 32'22 (5); 4:0 პალფი 36'13 (3); 4:1 დემიტრა 41'15 (1); 4:2 იანგი 43'29 (5); 4:3 იანგი 45'42 (6); 4:4 პეხტა 59'26 (2)

**ანაჰაიმი — ბოსტონი 2:3**

1:0 0:2 1:0 0:1

1:0 სელიანე 13'59 (1); 1:1 ტორნტონი 24'17 (3); 1:2 კოვალენკო 39'15 (3); 2:2 კამინსი 42'57 (2); 2:3 ტორნტონი 62'03 (4)

**ატლანტა — ვაშინგტონი 3:3**

2:1 0:1 1:1 0:0

1:0 ოდეტი 7'36 (1); 1:1 ბონდრა 7'43 (2); 2:1 ოდეტი 9'67 (2); 2:2 გონჩარი 30'23 (1); 3:2 ფერარო 54'02 (1); 3:3 ბალმერნი 53'37 (1)

**სამველ ლარიბიანი**


მინესოტელმა ენდი სატონმა (42) და ფილადელფიელმა ჯინო ოჯიკმა ერთმანეთს მუშტები მოუღერეს

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ბურთი და საფიქრალი

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს ადამ კროზიეს ფოტოზე ნაჩვენებ მომენტში ბურთისთვის სწორი გეზის მიცემა აფიქრებს, ხოლო ზოგადად ამ დღეებში — კევინ კიგანის შემცვლელის პოვნა. კროზისშია ინგლისის სანაკრებო ფეხბურთი, ფრესა და წაგებას ველარ ითვლის, მაგრამ განწყობილება ოპტიმისტურია. მედიასთან საფეხბურთო ოფიციოზის დამოკიდებულება კრიტიკის ქარცეცხლის მიუხედავად — მეგობრული. კროზიე და ჩინოვნიკები ბურთს სწორედ ჟურნალისტებთან აგორებენ, ფინეთში...



# პრიალა თასი

ახლო აღმოსავლეთში ჩხუბი და უბედურება გრძელდება, ლიბანის სამხრეთში რაკეტების სკდომაც არახალია, მაგრამ ბეირუთი აზიის თასის მასპინძლობაზე უარს ჯიუტად არ ამბობს და არც ვადების წანაცვლებას ყაბულდება: აზიის მოწინავე საფეხბურთო ქვეყნები 12 ოქტომბრიდან სპორტული ომის ფინალურ ეტაპს იწყებენ. აზიის თასი ამ ამბავს გაწმენდილი ხვდება ერთი უბრალო ქალბატონის მეცადინეობით.

# გმადლობ, მამიკო!

ნიუ იორკელი „იანკები" რომ ბეისბოლში სიეტლელ „ზღვაოსნებს" 7:1 ანადგურებენ, პირველ რიგში, მწვრთნელის დამსახურებაა, ამიტომ მოკლეშარვლიან თუ გრძელშორტიან ჯო ტორეს დარცხვენის გარეშე შეუძლია თავის პატარა გოგოსთან მივიდეს და ნაშრომის დაფასებად მისი კოცნა მიიღოს. მავთულხლართი დაბრკოლებას ვერ ქმნის.



REUTERS ნიუ იორკიდან



# ბუბკა წავიდა!

ეჰ, დამთავრდა ერთი ისტორიაც... დიდებულმა სერგეი ბუბკამ დონეცკში გამოაცხადა, რომ ჭოკს მეტად ხელში აღარ აიღებს. ოლიმპიური და ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონი (მრავალგზის რეკორდსმენიც), რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს წევრად ამასწინათ დამსახურებულად აირჩიეს, სწორედ ოლიმპიზმში გააგრძელებს თავის ნაყოფიერ ცხოვრებას.

სალოკი თითის განლაგების მიხედვით, ჭოკთან განშორებას ბუბკაზე ერთობ უმოქმედია...



# კეჭნაობა

ერთი შეხედვით შუა საუკუნეა. აბჯარ-მუზარადი და ფარ-შიმშერი, ქვის კედლები და მანდილოსანი გრძელი კაბით, მაგრამ მარცხნიდან რომ რომელიღაც ფირმის დიდად თანამეღროვე კეპი გამოკრთის? მარჯვნივ მდგარ მამაკაცს რომ დიახაც თანამედროვე პალტო აცვია? სიმართლეს ახლავე ვიტყვით: მეოცე საუკუნის ბოლოა, მოსკოვი და ისტორიულად მოფარიკავეთა რუსეთის მეთხე პირველობა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

.თავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge